ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 26 (1427) 8-15 აგვისტო 1995 წ.



გასაიდუმლოებული დოკუმენტი

საშიშროება სამხრეთ საქართველოდან

საქართველოს დასავლეთ ნაწილში რა უბედურებაც დაგვატყდა თავს, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამ უბედურების დიპლომატიური მშვიდობიანი გზით გამოსასწორებლად ქვეყნის ფედერაციული მოწყობის პრინციპი გამოვიგონეთ. პოლიტიკური ძალების ერთი ნაწილი ხმის ჩახლეჩამდე ყვირის — საქართველოს ფედერაციულ საწყისებზე მოწყობა აფხაზეთს კი არ დაგვიბრუნებს, ქვეყნის ტერიტორიის სხვა ნაწილებშიც დიდ თავსატეხს გაგვიჩენსო. ეს რომ ასე იქნება, ამას ვანგას წინასწარმეტყველება და დიდი ჭკუამეფელობა არ უნდა სჭირდებოდეს. საუბედუროდ, ამგვარი პროგნოზები უკვე დასტურდება. საინტერესოა ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ რითი დაასაბუთებენ უმრავლესობის „ბრძენთა-ბრძენი“ წარმომადგენლები, ფედერაციული მოწყობის სიკეთეზე რომ ამტკიცებენ თავიანთი პოზიციის შეუმცდარობას? არის თუ არა ჯავახეთიდან სახელმწიფოს მეთაურის სახელზე გამოგზავნილი ნერვიული საგანგაშო სიგნალი?

დოკუმენტი, რომელსაც აქ გთავაზობთ და რომელიც რედაქციამ ოფიციურად საიდუმლოდ მოიპოვა, საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთო განყოფილებაში შესულია 1 აგვისტოს.რა თქმა უნდა, დღემდე 3 აგვისტომდე, იგი გასაიდუმლოებული იყო. მიუხედავად ამისა, რომ ასლი პარლამენტის სახელზეა გაგზავნილი,პარლამენტში ეს არავის შეუტანია (შესაძლოა გაზეთის გამოქვეყნების დღისათვის იგი უკვე გახმაურებული იყოს)...

აი, რას იწერებიან ჯავახეთის რეგიონიდან

იხ. მეორე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. ა. შევარდნაძეს ასლი: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

ჯავახეთის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების საკოორდინაციო საბჭოზე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვის შემდეგ, თქვენს სახელზე იქნა გამოგზავნილი წერილი, რომელიც შედგენილია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე ჯავახეთის რეგიონის სტატუსის შესახებ, რომელსაც ექნება საკონსტიტუციო უფლება პოლიტიკური თვითმმართველობისა ერთიანი საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. წინასწარი მონაცემებით 99% გამოკითხული მოსახლეობისა გამოთქვა მხარდაჭერა,რომ ჯავახეთის რეგიონს მიენიჭოს ფედერაციის სუბიექტის სტატუსი.

განმეორებით გთხოვთ და მოვითხოვთ, რომ გამოგზავნილი იქნეს საექსპერტო ჯგუფი, რათა შესწავლილ იქნეს ადგილზე ჩვენი წინადადებები, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ კონსტიტუციის პროექტში შეტანის მიზნით.

ჯავახეთის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების საკოორდინაციო საბჭო

საკოორდინაციო საბჭოს
სახელით — კარახანიანი ტ.ვ.





От имени координационного совета

/Карахания Т. В./

ასაფეთქებლად გამზადებული კიდევ ერთი „ნაღმი“...

პარლამენტის სხდომათა დარბაზში კონსტიტუციის პროექტის გარშემო გახურებული მუშაობა რომ მიდიოდა,პარლამენტის ოვალურ დარბაზში ჩრდილო კავკასიიდან, აზერბაიჯანიდან და სტავროპოლის მხარიდან ჩამოსულმა ოცდაექვსმა ე.წ. თურქმა მესხმა ამოყო თავი. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა არც აცივეს,არც აცხელეს და სახელმწიფოს მეთაურთან, ედუარდ შევარდნაძესთან მოინდომეს შეხვედრა.მოთხოვნები, რომლებიც წამოაყენეს ნამდვილად „არ ახალია“; დეპორტირებულ მესხთა ჩამოსახლება საქართველოში, უკვე გარკვეული ვადების მითითებით.

ბატონი ედუარდი საგანგებო სესიის გამო შეხვედრაზე ვერ მოვიდა, სამაგიეროდ შეხვედრაზე მოსული ადამიანის უფლებების დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე,ბატონი სანდრო კავსაძე ძალიან დაბნეული გახლდათ ასეთი მოულოდნელი ვიზიტით და ნამდვილად არ იცოდა რა ექნა.ყოველი შემთხვევისთვის მას შეხვედრაზე წამოღებული ჰქონდა კომიტეტის მიერ მიღებული დეკლარაციის ტექსტი, რომელიც ერთი წლის წინ შეიმუშავეს, მაგრამ დღემდე არავის არ განუხილავს. დეკლარაციაში ნათქვამია,რომ დღევანდელი ხელისუფლება პასუხს არ აგებს 1944 წელს ჩატარებულ ანტიჰუმანურ აქტზე და იგი ვერ შექმნის გამამართლებელ საბუთს, თუ ეს სცილდება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კომპეტენციას. მაგრამ კომიტეტი ითვალისწინებს რა დემოკრატიის პრინციპებს და ადამიანთა უფლებათა დაცვის აუცილებლობას, სთხოვს მინისტრთა კაბინეტს, რათა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ინტერესების სრული გათვალისწინებით შეიმუშავოს და განახორციელოს დეპორტირებულ მესხთა გრძელვადიანი ეტაპობრივი რეპატრიაცია კონკრეტული ვადებისა და ადგილების მითითებით.

ეს დეკლარაცია ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნული უმცირესობის საპარლამენტო კომისიასაც გადაეგზავნა და მინისტრთა კაბინეტსაც. ბატონმა ფაცაციამ ეს ტექსტი მენაღარიშვილს შემდეგი რეზოლუციით გადაუგზავნა: „გთხოვთ განიხილოთ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, სათანადო ზომების მიღების მიზნით“.

ეს ყველაფერი ერთი წლის წინ მოხდა, დღეს კი ე.წ. თურქი-მესხების პრობლემა კვლავ რეალურად დადგა. ისე დაკვირვებული თვალი ამ პრობლემის გაჩენა-გაქრობაში გარკვეულ კანონზომიერებასაც დაინახავს. ახლა, როდესაც საქართველოში ორასი ათასი ლტოლვილია და ხალხი შიმშილით იხოცება, ძალიან ძნელია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. საქართველოში ნამდვილად არ არის იმის საშუალება, რომ ჩამოსულებმა თავი „შინ“ იგრძონონ, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია უამრავი პრობლემით დაყურსულ ჩვენს ყოველდღიურობას...

ლელა ჯაფარიძე

ფაქტი, კომენტარი

სტალინისტები ტაშს უკრავენ სტალინის მტერს...

ბათუმის დრამატულ თეატრში წინა კვირას მორიგი პრემიერა შედგა. ამჯერად წარმოდგენილი იყო გრიგოლ რობაჭიძის „ლამარა“. სპექტაკლმა გაიმარჯვა, წარმოდგენამ აღფრთოვანებული დატოვა მაყურებელი, რომელთა შორის მრავლად იყვნენ როგორც ბათუმისისე დედაქალაქის ინტელიგენციის ელიტარული წარმომადგენლები.

პრემიერას ესწრებოდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე, სტუმართა შორის იმყოფებოდნენ აჭარაში ალბათ არა მხოლოდ სპექტაკლის სანახავად ჩასული ტრადიციონალისტები აკ. ასათიანის ხელმძღვანელობით...

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შემოქმედებით კოლექტივსა და აჭარის ხელმძღვანელობას თბილი სიტყვები უძღვნეს გამომსვლელებმა, მათ შორის სიტყვა მიეცა მოწვეულ სტუმარს, ხანდაზმულ და პატივსაცემ ქალბატონს გრიგოლ რობაჭიძის დას.

გრიგოლ რობაჭიძის დის (რომლის ოჯახმაც სტალინური რეჟიმის მთელი საშინელება იწვნია) გამოსვლის შემდეგ მჭუხარე ტაში დასცხეს აჭარის სტალინისტთა პარტიის წევრებმა...

ამ პარადოქსის გარდა,ისიც აღსანიშნავია,რომ აჭარაში საერთოდ სტალინისტთა ორგანიზაცია ერთობ ძლიერია, სხვათა შორის, მათი წევრია ბელადის შვილიშვილი ევგენი ჯუღაშვილი. არადა თვით ასლან აბაშიძე, როგორც ცნობილია, რეპრესირებული ოჯახის შვილია...

ცუდი მთავრობის გამო არ შეიძლება სამშობლოს გაუბრაზდეთ (რას ნიშნავს არჩევნების ბოიკოტი?)

არც მეტი, არც ნაკლები,ის ვინც არჩევნებში მისვლას არ აპირებს და ამით ცდილობს დღევანდელი ხელისუფლებისადმი პროტესტის გამოხატვას, თავისი ქმედებით, შეუგნებლად, სწორედ არსებული ხელისუფლების კვლავ გახელისუფლებას უწყობს ხელს, ვინაიდან: 1) მეტია შანსი იმ გამოუყენებელი ბიულეტენების გაყალბებისა, რომელნიც ბოიკოტის მომხრეთათვის იქნება განკუთვნილი. 2) არჩევნებში წავალენ სწორედ ის ადამიანები,რომელთაც დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერა სურთ. 3) დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები დარჩებიან ამომრჩეველთა გარეშე, ხოლო ხელისუფლების მხარდამჭერი ამომრჩეველი იაქტიურებს. 4) იმ შემთხვევაშიც, თუ ბოიკოტის მომხრენი მოახერხებენ არჩევნების საერთოდ ჩაშლას, ძალაუნებურად არსებულს უხანგრძლივდება ქვეყნის ხელმძღვანელობის ვადა.

დაბოლოს, არავის დაუსაბუთებია, პრაქტიკულად რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას ბოიკოტი, ის კი ნათლად ჩანს, რა პროცესს შეუწყობს ხელს ეს უკანასკნელი ქმედება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მრავალშვილიან დედათა ასოციაციის პრესკონფერენციაზე (თბილისი, 8 აგვისტო) ასოციაციის პრეზიდენტის ქ-ნ მარიამ ძაძამიძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ასოციაცია ბოიკოტს გამოუცხადებს არჩევნებს (არადა,იგი 150000 მარტო მრავალშვილიან დედას ითვლის) სხვა არაფერია, თუ არა ამ მრავალშვილიანი დედების კიდევ 5 წლით იმ სავალალო მდგომარეობაში დატოვების მცდელობა, რომელშიც ისინი დღემდე იმყოფებიან. ცუდი მთავრობის გამო არ შეიძლება სამშობლოს გავუბრაზდეთ.

ხელისუფლება მეანაბრეებს ერთმანეთის ამტერებს!

ხელისუფლებამ მეანაბრეთა ერთი (როგორც ჩანს, პრივილეგირებული) ნაწილი დაუპირისპირა მეორე ნაწილს, უმრავლესობას (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 3 აგვისტო, №96), ანუ იმ მოტყუებულ ადამიანებს, რომელთაც აგერ უკვე მეორე წელიწადია ხელისუფლება ცრუ დაპირებებით კვებავს, თურმე მეანაბრეთა „დიდმა“ ნაწილმა და საქართველოს მთავრობის ახლადშექმნილმა სამსახურმა, რომელიც გაკოტრებულ კომპანიათა საქმეებსაც წარმართავს, გამართეს ერთობლივი შეხვედრა, სადაც მიიღეს ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც, ისინი მხარს უჭერენ ხელისუფლების ქმედებას, მიმართულს მეანაბრეთა ინტერესების დასაცავად. ამასთან ერთად, ჰგმობენ ზარალს ე.წ. „კომპენსაციის“ ყველა სხვა ფორმას, გარდა შემოთავაზებულს ხელისუფლების მიერ, ანუ გარდა იმ მეთოდებისა,რომლითაც მეანაბრეთა ერთი, უმცირესი ნაწილი შეეცდება მოითხოს ხელი მეანაბრეთა აბსოლუტური უმრავლესობის ხარჯზე (როგორც უკვე იკეთება, ამ ახალი სამთავრობო სტრუქტურის ხელშეწყობით და მონაწილეობით).

ერთადერთი,რაც ხელისუფლებამ მოტყუებულ მეანაბრეებს შეპირდა, ესაა ხუთიოდე ვაუჩერის დარიგება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს მოქალაქეთა დაცინვაა, ეს ვაუჩერებიც არსად ჩანს და როგორც დრომ გვაჩვენა, ეს ფანდი ხელისუფლების მხრიდან სატყუარას, წინასაარჩევნო დამშოშმინებელი, „აბი-გლუკოზას“ ფუნქციას ასრულებს.

გულდასაწყვეტი ისაა, რომ მოიძებნენ ისეთი „ხელმომწერები“, რომლებიც თავიანთ მოტყუებული თანამემამულეების საზიანოდ აჰყენენ ხელისუფლების პროპაგანდისტულ მიზნებს.

ალექსანდრე გელაშვილი

რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი პარლამენტის საგანგებო სესიის ცხოვრებიდან

თვით პარლამენტიც არ არსებობს უსიყვარულოდ

როდესაც პარლამენტის ტრიბუნაზე დეპუტატთა შორის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა, აგრარული პარტიის ლიდერი და ამავე დასახელების კომისიის თავმჯდომარე — როინ ლიპარტელიანი დგას (აი, სწორედ ის,ვინც კატეგორიულად აცხადებს: სანამ ცოცხალი ვარ (?) მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას არ დავუშვებო)? სულ ცოტა „გამოცოცხლება დარბაზში" მაინც გარანტირებულია. ამჯერადაც ბატონმა როინმა არ უღალატა ტრადიციას: თავის გამოსვლის დასაწყისში „ერთი ბრძენკაცის" ნათქვამი გაიხსენა და იქვე ლათინურადაც დააციტატა,რამაც დეპუტატების გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. მერე „გამოცოცხლებული დარბაზის" ყრიამულის ფონზე რიხიანად ჩაიკითხა ქაღალდზე გადატანილი ნაზრევი თვისი:ყველაფერი იმის ბრალია, ხალხი ორჯერ რომ შეცდა არჩევნებში და ისინი არ აირჩია,ვინც საჭირო იყო (საკუთარი თავი თუ მიათვალა ამ უღირს არჩეულებს, აღარ დაუზუსტებია), მერე,მდგომარეობის გამოსასწორებელ რეკომენდაციათა ნუსხა წარმოადგინა, და ბოლოს პარლამენტარებს მოუწოდა:მოვრჩეთ ჩხუბს, შევიყვაროთ ერთმანეთი, უსიყვარულოდ ჩვენი საშველი არ იქნებაო და კანტი-კუნტი, მაგრამ მჭუხარე აპლოდისმენტების თანხლებით დაუბრუნდა თავის ადგილს.

ისე, ბატონ როინის მოწოდება არც მაინცდამაინც უადგილო გახლდათ. რამდენადაც მანამდე რამოდენიმე კონფლიქტის კერა შეიქმნა და რომ არა სხდომის წამყვანის, ედუარდ შევარდნაძის ოლიმპიური ინდიფერენტიზმი ყველას მადლობით რომ ისტუმრებდა, კაცმა არ იცის რა ამბავი ატყდებოდა.

შენ კაი კაცი არა ხარ, ჩამოგკიდებ ხეზედაო...

შუაგული სხდომის დროს, როცა თითქოს უაღრესად სამუშაო განწყობილება სუფევდა, მოულოდნელად წამოდგა ერთ-ერთი აქტიური უმრავლესობელი, თეიმურაზ კოპალეიშვილი და როგორც საბავშვო ბაღის აღმზრდელს შესჩივლებენ ხოლმე განაწყენებული ბავშვები, ისე დაიწუწუნა: პატივცემულო (ბატონო ედუარდ), ჯაბა (იოსელიანი) მაგინებსო, თან იქვე დააზუსტა: ჯერ მითხრა, ხეზე ჩამოგკიდებო და მერე უცენზურო სიტყვებით მომმართაო. ამისთანა „არაჭურდული" საქციელისთვის დარბაზიდან რეპლიკა კი მიიღო, ჰაი, შე „სტუკაჩო" შენაო, მაგრამ შევარდნაძეს არც „ამრევი" დაუტუქსავს და არც „ჩაგრულისთვის" უცია დიდი ნუგეში. მარტოოდენ ფილოსოფიურად შენიშნა: მე მეგონა შეურაცხყოფები დამთავრდა, მაგრამ ეტყობა შევცდიო და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

ვინაა ჩიტი და ვინ მელია

30 ივლისის სხდომაზე დეპუტატმა გურამ ბერიშვილმა „ჩიტი და მელიას" ზღაპარი გაიხსენა: შევარდნაძე მელასავით გვაშინებს, ამ ცულ-ცუნცულა რეფერენდუმითო. ბ-ნ ელდარ შენგელაიას გამოსვლაც ამ თემაზე ახლებური ვარიაციებით დაიწყო. უფალო ოპოზიციონერებო, ვინაა ჩიტი და ვინ მელა,ეგ კიდევ საკითხავია, ჩვენ სულ გითმობთ: პროპორციული სისტემა გინდოდათ — მოგეციოთ, ვეტოს გაუქმებაზე ორი მესამედი არ მოგწონდათ,სამ მეხუთედამდე ჩამოვიდეთ,ორმაგ მოქალაქეობაზე ალერგია გაქვთ, გინდათ — გავჩუმდით, ახლა ბატონო, აღარ დაგვრჩა ბარტყები და ან უნდა შეგვჭამოთ, ან თავი დაგვანებოთო.

ამის შემდეგ ბატონმა ელდარმა საკმაოდ არალიბერალური განცხადება წაიკითხა ფრაქცია „ლიბერალების" სახელით,რომლის მოკლე შინაარსი ასეთი იყო: თუ მელა (ოპოზიცია) იმყოფინებს იმ ბარტყებს (კომპრომისებს) ღმერთმა შეარგოს, თუ არა და ისღა დაგვრჩენია მონადირე მოვიყვანოთ, ჩვენი ნაბარტყი კომპრომისები უკან დავიბრუნოთ და მერე სხვანაირად ვილაპარაკოთო...

ისე, კაცმა რომ თქვას, სანამ უმრავლესობა —ოპოზიცია არკვევს ვინაა ჩიტი და ვინ მელა, ისიც არაა გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს „დათუნია ჩრდილოეთიდან" მოგვადგეს კარზე და მშიერ კუჭზე ჩიტიც გადასანსლოს თავის ბარტყებიანად, მელიაც მიირთვას და მონადირეც ზედ მიაყოლოს. მერე მიდი და არკვიე ვინ ვინ არის...

დავით ზურაბიშვილი

სუკ-ი

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

სუკ-ის სტრუქტურა და კონკრეტული საქმიანობა აქამდე ცხრაკლიტულში მოქცეულ საიდუმლოდ რჩება სსრკ-ს მოქალაქეთათვის.საზღვარგარეთელი მკითხველები კი არ არიან მოკლებული ასეთ ინფორმაციებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ წვრილმანებიც კი გაეგოთ საბჭოთა საიდუმლო სამსახურების მოღვაწეობის შესახებ,გასცნობოდნენ სკანდალურ ისტორიებს. დასავლეთის ქვეყნებში არა ერთი პუბლიკაცია და წიგნი დაიბეჭდა როგორც უცხოელი ავტორების, ასევე ყოფილი საბჭოთა მზვერავების მიერ. ჯ. ბარონის წიგნი ყველაზე უფრო სერიოზული და მართალი ნაშრომია ამ თემაზე სპეციალისტების აზრით. ვიწყებთ ამ წიგნიდან ზოგიერთი თავის გაცნობას თქვენთვის.

სუკ-ის სტრუქტურის აღწერა ემყარება ადრე გამოუქვეყნებელ ცნობებს, რომლებიც სუკ-ის ყოფილმა თანამშრომლებმა და დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა გადმოგვცეს. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდა შევიხედოთ უცხო თვალისაგან დაფარული სუკ-ის ცენტრის განყოფილებებში და კვალდაკვალ მივყვეთ მათ საქმიანობას. იგი, ამავე დროს,ააშკარავებს სუკ-ის სუსტ და ძლიერ მხარეებს.

სუკ-ის შტაბ-ბინა მოთავსებულია რამდენიმე არაფრით გამორჩეულ შენობაში, რომლებიც ორი კვარტლითაა დაშორებული კრემლიდან. ძერჟინსკის მოედანზე №2-ში, ძველი,რუხი ქვით ნაგებ შენობაში, რომელიც რევოლუციამდე ეკუთვნოდა სრულიად რუსეთის სადაზღვევო კომპანიას,იმყოფება მთავარი სამმართველო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკურმა პატიმრებმა და ტყვე გერმანელმა ჯარისკაცებმა ააშენეს კიდევ ერთი ცხრასართულიანი შენობა. მშენებლობის ძველ ნაწილში არის შიგა ეზო, სადაც ლუბლიანას საპატიმროა მოთავსებული. აქ სიკვდილით დასაჯეს ასობით გამოჩენილი საბჭოთა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე,რომელთა შორის სულ ცოტა სამი თვით სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი იყო. ძერჟინსკის მოედანზე განლაგებული შენობები ცენტრის სახელითაა ცნობილი სუკ-ის თანამშრომელთა თითქმის 90000-კაციანი არმიისათვის, მთელს მსოფლიოში რომ არიან გაფანტულები. ესენი არიან: მამაკაცები და ქალები, რომლებიც ირიცხებიან ლათინურ-ამერიკელი პარტიზანების რიგებში; ასწავლიან სირიაში პალესტინელ ტერორისტებს; თავს ასაღებენ ამერიკელებად და ცხოვრობენ ნიუ-იორკის სახლებში; არიან ნაციონალისტური აჯანყების ჩამხშობნი უკრაინაში, ამბოხების აღმკვეთნი ციმბირში.

სუკ-ი შედგება ოთხი მთავარი სამმართველოსაგან, ანუ დამოუკიდებელი სამმართველოსაგან და ექვსი დამოუკიდებელი განყოფილებისაგან, რომელთაგან თითოეული უამრავ ნაწილადაა დაყოფილი. ამ დანაყოფებს ეწოდება მიმართულებები, განყოფილებები, სამსახურები და დირექციები. პირველი მთავარი სამმართველო მართავს საზღვარგარეთის ოპერაციებს. მეორე მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს ოპერაციებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა მოსახლეობისა და სსრკ-ში მყოფი უცხოელების წინააღმდეგ. შემდეგია დაუნომრავი მთავარი სასაზღვრო სამმართველო, რომელიც იცავს საზღვრებს და ბოლო დროს ომობს ჩინელებთან. ახალი მეხუთე მთავარი სამმართველო— მესამე და მეოთხე არ არსებობს — პასუხისმგებელია საბჭოთა მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებულ ოპერაციებზე. შეიარაღებული ძალები, ტექნიკური ოპერაციები, ადმინისტრაცია, პირადი შემადგენლობა, ზედამხედველობა,კომუნიკაციურ-გამშიფრავი სამსახური და მცველები— ესაა შვიდი დამოუკიდებელი სამმართველო. ექვსი დამოუკიდებელი განყოფილება დასაქმებულია განსაკუთრებული გამოძიებებით, ფინანსებით, ოპერატიული განხილვით, სახელმწიფო კომუნიკაციებით, სუკ-ის დაცვით, ოპერაციების რეგისტრაციით და არქივით. სუკ-ის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პირველი,მეორე და მეხუთე მთავარი სამმართველოები. სწორედ მათი ანალიზი იმსახურებს ყველაზე დაძაბულ ყურადღებას.

პირველი მთავარი სამმართველო

პირველი მთავარი სამმართველო პასუხისმგებელია ყველა ფარულ საბჭოთა საქმიანობაზე საზღვარგარეთ, გარდა სამხედრო ჯაშუშობისა, რომელსაც აწარმოებს სსს (სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველო — ГРУ), და პოლიტიკური ინტრიგებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. იგი შედგება სამი სამმართველოსაგან: არალეგარული საქმიანობის,სამეცნიერო-ტექნიკური და დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოებისაგან; ორი სპეცსამსახურისაგან, ინფორმაციული და აღმასრულებელი განყოფილებებისაგან; აგრეთვე, თექვსმეტი ჩვეულებრივი განყოფილებისაგან, რომელთაგან პირველი ათი მოქმედებს დანიშნულ გეოგრაფიულ ან ლინგვისტურ რაიონებში; დანარჩენები — ასრულებენ საოპერაციო ან ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ამ განყოფილებების მოკლე მიმოხილვაც კი უჩვენებს, რამდენად ფართოდაა მოდებული სუკ-ის საცეცები მთელს მსოფლიოში.

არალეგალური საქმიანობის სამმართველო (სამმართველო „C")

ახდენს აგენტების შერჩევას, ასწავლის მათ და იყენებს სუკ-ის იმ აგენტებს,რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ გამოგონილი სახელებით. კრიტერიუმად კანდიდატთა შერჩევისას გამოიყენება მათი იდეოლოგიური კეთილგონიერება,ემოციური სიმტკიცე და აგრეთვე ცოდნა ლინგვისტიკურ და კულტურის დარგებში. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეგზავნილი ზოგიერთი აგენტის მშობლები არიან ესპანელი კომუნისტები, რომლებიც ესპანეთიდან საბჭოთა კავშირში გაიქცნენ სამოქალაქო ომის შემდეგ. თითოეულ აგენტს ასწავლიან ინდივიდუალურად მოსკოვში მიმობნეულ იზოლირებულ ბინებსა და სახლებში. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა სუკ-ი იღებს გადაწყვეტილებას, შეგზავნოს მამაკაცი და ქალი ქვეყანაში ერთობლივი მუშაობის მიზნით. სამმართველოს ზემდგომი ოფიცრებისა და ინსტრუქტორების უმრავლესობა თავის დროზე თვითონ იყო არალეგალური აგენტი, ან სარგებლობდა რა დიპლომატიური საფარველით, ჯაშუშობდა მაინც საზღვარგარეთ.

სახელგანთქმული საბჭოთა არალეგალური აგენტი უილიამ ფიშერი,იგივე პოლკოვნიკი რუდოლფ აბელი,მხილებული იქნა ამერიკელების მიერ და ჩასმულ იქნა ციხეში, სადაც იჯდა მანამ, ვიდრე არ გაცვალეს იგი თვითმფრინავის У—2 პილოტზე ფრანსის გარი პაუერსზე. უკანასკნელი წლები მან მოსკოვში გაატარა, სადაც მუშაობდა ამერიკაში გასაგზავნი აგენტების სწავლების მთავარ ინსტრუქტორად. რამდენადაც არალეგალური აგენტების სწავლება წარმოებს ინდივიდუალურად და სუკ-ის კუთვნილ ბინებში, მხოლოდ რამდენიმე კაცმა შეიძლება იცოდეს, რამდენ აგენტს აგზავნის „C" სამმართველო დავალებებით მსოფლიოს ყველა კუთხეში. ცნობილია მხოლოდ,რომ აგენტების უმრავლესობა იგზავნება ისევ და ისევ დასავლეთ ევროპაში,ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩინეთში. კპ ცენტრალური კომიტეტის განმეორებითი მოთხოვნები ჩინეთის წინააღმდეგ ოპერაციების გაუმჯობესების შესახებ იმის მაჩვენებელია, რომ სუკ-ი სიძნელეებს აწყდება იქ არალეგალური აგენტების ჩანერგვის საქმეში. ჩინელები,რუსების მსგავსად, დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ.

სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველო (სამმართველო „T") შეიქმნა 1963 წელს ყოფილი №10 განყოფილებისაგან ახალი სარაკეტო-ბირთვული იარაღის,კოსმოსური და სტრატეგიული კვლევების, კიბერნეტიკისა და სამრეწველო პროცესების შესახებ ცნობების მოპარვის ოპერაციების გაძლიერების მიზნით. თვით სამმართველო მონაწილეობას იღებს ოპერაციებში და იმავე დროს ახდენს სუკ-ის ყველა სხვა განყოფილების სამეცნიერო, სამრეწველო და ტექნიკური ჯაშუშობის კოორდინირებას. მას დიდი გავლენა აქვს

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელი ბარათი

დემაგოგიური აზროვნების სინდრომი...

ნოდარ გრიგალაშვილი

გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში მკითხველს შევპირდი, რომ ჩვენი დროის ბარნაბა ეძგვერაძის — რომან მიმინოშვილის შემდეგ, გაზეთ „მთაწმიდის“ (იგივე „ავგიას თავლის“) გამომცემლის, თეიმურაზ მირიანაშვილისათვის მომიწევდა ყვითელი ბარათის ჩვენება.

ვეცდები ეს უსიამოვნო ვალი კორექტულად მოვიხადო.

კორექტულად, რადგან, როცა ბ-ნ მირიანაშვილის ბრალდებას გაეცანი გაზეთ „საქართველოს“ მიმართ, მასზე არ გავლიზიანებულვარ, პირიქით, აკაკის „გამზრდელიდან“ ჰაჯი უსუბის უკანასკნელი სიტყვები გამახსენდა...

ბრალდებას გაზეთ „საქართველოსადმი“ თ. მირიანაშვილმა ასეთი ფორმულირება მისცა — „კარვული აზროვნების სინდრომი“. „კარვულ აზროვნებაში“ იგი პირველყოვლისა კერპთაყვანისმცემლობას გულისხმობს და მაგალითსაც შთამბეჭდავს გვთავაზობს.

გაზეთ „საქართველოს“ ავტორის ქ-ნ ლეილა ნანიტაშვილის მიზანია, რომ **„დაგვარწმუნოს, აკაკი ბაქრაძე არის დღევანდელი ილია“** — წერს თეიმურაზ მირიანაშვილი (იხ. „მთაწმიდა“ №4, 1995 წ.) და იქვე შესაბამის კომენტარს აკეთებს. **„ილიასათვის აკ. ბაქრაძის შედარება მკრეხელობაა. კარავში დაბანაკებული ქალები მესიას, ღმერთს ადრიდნენ თავიანთ ლიდერს, აკაკი ბაქრაძის მომხრეები კი ადგნენ და თავიანთი კერპი ღმერთკაცს, ილიას გაუტოლეს. შეიცვალა შედარების ობიექტი, აზროვნების წესი კი აბსოლუტურად ერთიდაიგივეა!“**

შეუძლებელია არ დაეთანხმო ავტორს, რომ კარავში დაბანაკებული ქალებისაგან თავიანთი ლიდერის მესიასთან შედარება ნონსენსი იყო.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ავტორს, რომ ბატონი აკაკის უდიდესი ღვაწლისა და დამსახურების მიუხედავად, იგი არ არის ილია.

აქედან გამომდინარე, მისი დასკვნაც სწორი ჩანს, „საქართველოში“ მართლაც კარვული აზროვნების სინდრომს უჩენია თავი.

ამ „ჰეშმარიტების“ აღმოჩენის შემდეგ, თ. მირიანაშვილი „იძულებულია“ აკ. ბაქრაძეს შენიშნოს: **„სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიამ უსაყვედურა თავის მომხრეებს, ნუ მეძახით მესიას, ეს მკრეხელობაა, აკი ბაქრაძე კი დუმს, როგორ გავიგოთ ეს დუმილი? თანხმობის ნიშნად?“**

აი, ასე, ერთი გასროლით მოუღო ბოლო მირიანაშვილმა ყველას, ვისი დისკრედიტაციაც სურდა მკითხველის თვალში.

ლ. ნანიტაშვილს, როგორც მის ოპონენტს, გაზეთ „საქართველოს“ და ბოლოს, ბატონ აკაკი ბაქრაძეს, თან ეს ისე ოსტატურად მოიმოქმედა, მის საღ და ჩვენს „კარვულ აზროვნებაში“ ეჭვი არ შეეპარება მკითხველს, თუ მისთვის ცნობილი არ არის,რომ გაზეთ **„საქართველოში“ არსად წერია**— „აკაკი ბაქრაძე არის ილია“.

ლ. ნანიტაშვილმა თავისი წერილის შესავალში ილიას მაგალითზე მოიშველია საყოველთაოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენში ერისაკაცის მკვლელობის აქტი ხშირად სიტყვით მზადდება. ასე იყო ავადსახსენებელ 1937 წელსაც. ჯერ „დაამუშავებდნენ“ პრესაში მსხვერპლს და შემდეგ ტყვიით უსწორდებოდნენ. განა ამის აღნიშვნა ნიშნავს იმას, რომ ამ უკანასკნელთ ილიასთან აიგივებს ვინმე?

ასე რომ, ვიმეორებ, გაზეთ „საქართველოში“ ის, რაზედაც მთავარი ბრალდება ააგო მირიანაშვილმა, არ წერია. ახლა მკითხველმა განსაჯოს, საღი აზროვნების ოპონენტთან გვაქვს საქმე, თუ დემაგოგიური აზროვნების პერსონასთან.

როცა კაკი პოლემიკაში გამარჯვების მიზნით სიცრუეს კადრულობს, არ არის კარგი.

აი, დემაგოგიური აზროვნების კიდევ ერთი კლასიკური ნიმუში. 1992 წელს ბ-ნ მირიანაშვილმა გაზეთ „საქართველოში“ დასტამბა ვრცელი წერილი — „შავბნელი ჟამის ქრონიკა“. აღნიშნული სტატია, ისე როგორც მისი სხვა წერილები, მე მომწონდა გონიერების, გაბედულებისა და გულწრფელობისგამო, მაგრამ შეიძლება წერილი მოგწონდეს, მაგრამ თავად სხვა პოზიცია გქონდეს. ვისთვისაც ეს აზრი გაუგებარია, მას ვერც გავაგებინებ, მაგრამ თ. მირიანაშვილი არ არის ის ავტორი, რომელსაც დაწერილის კარგად ამოკითხვა არ შეეძლოს, თუმცა, როცა დემაგოგიაა საჭირო, იგი, სამწუხაროდ, მას არ თაკილობს.

ბ-ნ მირიანაშვილის „შავბნელი ჟამის ქრონიკას“, რომელშიც 1988-1991 წლების ეროვნულ მოძრაობას ახასიათებს როგორც ერთ ყველაზე შავბნელ ჟამს საქართველოში, „რომელმაც გამოიწვია დიდი ნგრევა“, „მრავალი ადამიანის დაღუპვა“, მე ვუპასუხე წერილით-„ქრონიკული შეცდომები“ (იხ. „საქართველო“ №22, 1992 წ.)

პასუხში სხვათაშორის ვწერდი: „თ. მირიანაშვილის წერილი თავისი გულწრფელი პათოსითა და ემპირიული სიმართლით საშიშია. იმ თვალსაზრისით, რომ მან ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლა, ეროვნული მოძრაობის შეცდომებს, თვით ეროვნული მოძრაობა (ბუნებრივია, ეროვნულ მოძრაობაში 1988-1991 წლების ეტაპს ვგულისხმობდი და არა 1801 წლიდან დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას) თუ ეს ტენდენცია განვითარდა, შესაძლოა მალე უკიდურესმა ნიჰილიზმმა იჩინოს თავი იმედგაცრუებულ საზოგადოებაში, რისი სიმპტომებიც უკვე აშკარად ჩანს“... სამწუხაროდ ის შიში გამართლდა... მაგრამ სხვა საკითხზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. წერილში საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი მივუძღვენი იმ აზრის ასხნას, როგორ შეიძლება ესა თუ ის ფაქტი ან მოვლენა ემპირიულად მართლად იყოს შეფასებული, მაგრამ არსობრივად ფაქტი ან მოვლენა სრულიად სხვაგვარი დასკვნის გამოტანის უფლებასაც გვაძლევდეს.

კერძოდ, თ. მირიანაშვილი **ემპირიულ** სიმართლეს წერდა, როცა 9 აპრილს ჩვენს დამარცხებად, უბედურებად მიიჩნევდა შესაბამისი დასკვნებითურთ. მაგრამ რა შეიძლება ამ სიმართლის გარდა აღნიშნულ ტრაგიკულ ფაქტში დავინახოთ (ბოდიშს ვუხდი მკითხველს ვრცელი ამონარიდისათვის, მაგრამ, ვფიქრობ, ის რაზეც ამ ამონარიდშია საუბარი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი და ჩემი ოპონენტის პოლემიკა). მე ვწერდი:

„ერთნი 9 აპრილს დამარცხებად სთვლიან, მეორენი გამარჯვების დღედ. კი, დამარცხებული ხარ, როცა მტერი უდანაშაულო გოგონებს ნიჩბებითა და მომწამლავი გაზებით დაგიხოცავს, როცა მტერი შენს ეროვნულ დროშებს თავზე გადაგახევს, მაგრამ, არის ერთი მაგრამ...

ზოგჯერ, კონკრეტულ სიტუაციაში, დამარცხება, ისტორიული თვალსაწიერიდან, მომავალი გამარჯვების პრელუდიაა. დიდი ბრძოლის გარდაუვალი მონაკვეთია. მაგალითისათვის ისტორიის ანალებიდან მოვიხმობ ორ ფაქტს. მე-5 საუკუნეში სპარსეთის მეფე იბარებს ორ განმგებელს— ქართლის პიტიახშს არშუშას და სომხეთიდან ვარდან მამიკონიანს. სთავაზობს მაზდეანობა მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც დახოცავს და ქვეყანასაც აუწიოკებს.

არშუშა პიტიახში დათანხმდა მზაკვარ ტირანს, მიიღო მაზდეანობა, რითაც თავი გადაირჩინა და სამშობლოც იხსნა. ვარდან მამიკონიანმა უარყო მეფის წინადადება, რითაც თავიც წააგო და სასომხეთიც დაარბიეს.

კონკრეტულ სიტუაციაში არშუშამ გაიმარჯვა — თავი და სამშობლო იხსნა.

კონკრეტულ სიტუაციაში ვარდანი დამარცხდა — თავადაც დაიღუპა და ქვეყანაც აუოხრეს.

არშუშა პიტიახში **კონკრეტულ სიტუაციაში** გონივრულად მოიქცა.

კონკრეტული სიტუაციისათვის არაგონივრული იყო ვარდან მამიკონიანის წინააღმდეგობა ძლიერ და გაბოროტებულ მტერთან.

გადის წლები.

მაზდეანობას იძულებით შეგუებული მამის, არშუშას ქრისტიან შვილს ვარსქენ პიტიახშს ერთი ნაბიჯიღა რჩება მაზდეანებთან, მტერთან მისასვლელი და გადადგა კიდეც ის ნაბიჯი.

შუშანიკისა და მისი მამის მკვლელებს შორის კი პირშეუკრავი უფსკრულია გაწოლილი.

ვარდანის სიკვდილით მისი ასულის სიცოცხლეა განათებული.

არშუშას სიცოცხლე კი მისი და მისი შთამომავლის ზნეობრივი სიკვდილის დასტური იყო.

ამდენად, **მაღალი ზნეობის კრიტერიუმიდან არაგონივრული იყო არშუშა პიტიახშის ქმედება და გონივრული მამიკონიანის თავგანწირვა.**

იგივე ითქმის 9 აპრილის და ამ დღის წმიდა მსხვერპლთა მიმართ. მათი სიკვდილი, იმ დღის დამარცხება, პირშეუკრავ უფსკრულად უნდა აღიმართოს დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის. მათი ხსოვნა მახვილია მონობასთან შემგუებლობაზე. და თუ ასე არ ხდება, ან არ მოხდება, ეს იმ დღის ბრალი არ არის, ჩვენი ბრალია **და** ჩვენგან შეურაცხყოფაა იმ წმიდა მსხვერპლისა.

მე მესმის, ამგვარი უკომპრომისო ბრძოლა პერმანენტული და ყოველდღიური თუა, ეს ერის თვითმკვლელობაა. ერს ლავირება და ელასტიურობა უნდა შეეძლოს. ერთხელ მომხდარი 9 აპრილი ტრაგედიაა შესაძლებლისა და სასურველის კატასტროფული სიშორით გამოწვეული, მაგრამ ორჯერ და სამჯერ ჩატარებული მსგავსი აქცია **უკვე** ფარსი გახლავთ. ეს ფარსი ჩვენში არ დადგმულა, ამიტომ 9 აპრილს და, საერთოდ, უკომპრომისო ბრძოლას, დარჩეს თავისი დიდი ისტორიული ადგილი.

ვიცი, ბატონი თ. მირიანაშვილი და სხვაც ბევრი ლირიკაში ჩამომართმევს ასეთ მსჯელობას. დიდი ზნეობის გადასახედიდან, იქნებ გულუბრყვილოც ჩანდეს კონკრეტული პოლიტიკური აქციის შეფასება, მაგრამ ჩემი თვალსაზრისის დასტურად კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან ჩვენი ისტორიიდან.

764 წელს ხაზარებმა ქართლი ააოხრეს. „მატიანე ქართლისაი“ ხაზართა შემოსევის მიზეზად შემდეგ **გარემოებას** ასახელებს. ქართლის ერისთავს, ჯუანშერს, ერთი სილამაზით **განთქმული** დაი ჰყოლია. ხაზართა მეფეს, ხაკანს, ამ ქალის სილამაზის შესახებ „მიესმა ხმა“, მიუგზავნა მოციქული და ითხოვა ჯუანშერის და ცოლად. არც ქალმა, არც დედამ და არც ძმამ არ ინდომეს წარმართი და შეურაცხყოფილებმა მწარე უარი გააყოლეს ხაკანის მოციქულს.

ქართველთა უარით გაგულისებულმა ხაზართა მეფემ გამოგზავნა ლაშქარი. ქართლი ააოხრა, ტფილისი შემუსრა, ხოლო ჯუანშერი და მისი მშვენიერი და ტყვედ წარიყვანეს. როცა სამშობლოს საზღვრებს მიადგა, დარიალთან, ქალმა თავი მოიწამლა და ურჯულო საქმროს ცოცხალი არ ჩაბარდა. ამ ისტორიულ ფაქტზე მსჯელობისას თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს: **„სარწმუნოებრივს სიძულვილს წარმართდამი დაუხშვია ქართლის ერისთავის სახლობისათვის საღი პოლიტიკური მსჯელობის უნარი“**-ო.

ერთი ქალის გათხოვება-არგათხოვების გამო ქართლის დაქცევა იმ დროის ქართველთათვის ალბათ მართლაც იყო პოლიტიკური შეცდომა, მაგრამ, როგორც პიროვნება, ისე ერი არ ცხოვრობს მხოლოდ ერთი დღის წაგება-მოგებით.

(მით უფრო, ხაზარნი, ისე როგორც ჩვენს დროში წითელარმიელნი, თუ შემომჭრელნი იყვნენ, ადრე თუ გვიან, მაინც დაეცემოდნენ ქართლს. ასეთია ბუნება მტრისა).

ერთი სიტყვით, 764 წელს ხაზარებმა ქართლი აიკლეს, ამით ერს **სიცოცხლე** არ შეუწყვეტია. მართალია დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ გავიდა წლები და ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა.

იმ დიდი სულის მშვენიერ ქართველ ქალს კი დარიალთან თავი რომ არ მოეწამლა და თავის რწმენასა თუ ქართველობას არ შესწირვოდა, ეს ამაღლებული და ამაღელვებელი მაგალითი ჩვენს ისტორიას არ შემორჩებოდა. **ერი კი ისტორიიდან ასეთი ზნეობრივი მაგალითებით სარგებლობს, ასეთი მაგალითებით განმტკიცებს სულს, ინარჩუნებს სიმტკიცეს და ალბათ სიცოცხლისუნარიანობასაც. რომ არა ეს ზნეობრივი გაკვეთილები, დღეს ჩვენ ან სპარსელნი ვიქნებოდით, ან თურქები და ან რუსები“.**

არ დავიჩემებ, რომ ეს მსჯელობა ერთადერთია და ჰეშმარიტი, მაგრამ ამ ვრცელი ამონარიდის შემდეგ გადავხედოთ ოპონენტის საპასუხო წერილს, რომელშიც ბრძანებს: „შემაშფოთა ნ. გრიგალაშვილის ამ ფრაზამ **„თ. მირიანაშვილის წერილი თავისი გულწრფელი პათოსითა და ემპირიული სიმართლით საშიშია“. არ შეიძლება მართლა არ შეშინდე, როცა რედაქტორი სიმართლითა და გულწრფელობით გამოწვეულ საშიშროებაზე ლაპარაკობს!**

მითუმეტეს ისეთი რედაქტორი, როგორიც ნოდარ გრიგალაშვილია“.

ცალკე, ჩემი ზემოთმოტანილი მსჯელობის გარეშე ამოგლეჯილი ეს ფრაზები, მართლაც დააეჭვებს მკითხველს და სიმართლისა და გულწრფელობის წინააღმდეგ ამხედრებულად წარმოვუდგები. არადა, ოპონენტს ამის დასტურად სწორედ ჩემივე ციტატა მოჰყავს, არის თუ არა ეს დემაგოგიის კლასიკური ნიმუში?

მე ხომ სწორედ იმაზე ვწერდი ჩემს წერილში, რომ ემპირიული, ერთი შეხედვით დანახული სიმართლე, თანაც გულწრფელად გადმოცემული, ზოგჯერ ნამდვილი სიმართლის, მისი არსის ვერ დანახვის ან დამახინჯების საფუძველია?

ოპონენტის დემაგოგიური აზროვნების კიდევ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, თუმცა ამის საჭიროება აღარ უნდა იყოს. აქვე მინდა დავსძინო, ბატონი მირიანაშვილი ხშირად მსაყვედურობს პოზიციის შეცვლას, თუმცა ვერაფრით გამიგია, რა პოზიცია შევიცვალე, თუ წინა ხელისუფლებას ვებრძოდი, განა ეს იმას მავალდებულებს, რომ ახალს კოჭი ვუგორო? აი, თავად მას კი სულ რაღაც ერთ წელიწადში საოცარი ამბავი დამართნია.

1992 წელს რომ გეკითხათ მისთვის, რა კაცია, ვთქვათ, ნოდარ ნათაძეო, გიპასუხებდათ — **ქვეყნის დამაქცევარი** გახლავთო (ეს რბილად, პრესაში უარესებიც დაწერა), 1991 წელს კი იგივე ნათაძე **საქართველოს პრეზიდენტად სურდა** (მისგან განსხვავებით მე „კარვული აზროვნების“ რედაქტორი, ანუ კერპთაყვანისმცემელი, პიროვნულად ამის წინააღმდეგი ვიყავი და ეს თვით ბატონი ნოდარისათვის არაერთგზის განმიცხადებია).

1991 წელს თ. მირიანაშვილი წერდა: **„ქართველ ერს დღესაც იმათი იმედი უნდა ჰქონდეს, ვინც ყოველგვარი აფიშირების გარეშე ირჯება მისთვის, ვინც ყოველდღიური, ყოველწუთიერი თვითრეკლამისა და დამადლების გარეშე შრომობს და იბრძვის“. იმათში კი ვისი იმედიც ქართველ ერს უნდა ჰქონდეს, მირიანაშვილი სწორედ ნ. ნათაძესაც ასახელებს და იქვე დასძენს: „განა როდესმე უცდია ბატონ ნოდარ ნათაძეს ეტრაბახა იმით, რომ მარტოდმარტო, გმირულად ებრძვის დიქტატორულ ძალებს პარლამენტში“** და ა.შ. (იხ. თ. მირიანაშვილის წიგნი „შავბნელი ჟამის ქრონიკა“, თბ. 1993 წ. გვ. 254-255).

ერთი წლის განმავლობაში ნ. ნათაძე არ შეცვლილა. მაშ თ. მირიანაშვილში რა მოხდა ისეთი, რომ ერთი წლის წინ კაცს საქართველოს ბედს ანდობდა, დღეს კი იმავ საქართველოს დამაქცევრად მიაჩნია?

პოზიციებს ადამიანები იცვლიან, მაგრამ რა არის ამ ცვალებადობის საფუძველი? ამ შემთხვევაში, საკითხავი, აი, ეს არის...

ეკონომიკა

მოიტანე ცნობა ნასამართლევი ხარ თუ არა!..

კიდევ ერთი ბარიერი მეწარმეობის გზაზე

ალბათ საქართველოს სამეწარმეო ცხოვრებაში, რომელსაც დიდი დაბრკოლება ახლდა თან, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მხარე იყო საწარმოთა რეგისტრაციის წესი. თავის დროზე იგი შემუშავებული იყო მთავრობის მაშინდელი ვიცე-პრემიერის ბ-ნ რომან გოცირიძის მიერ. ფაქტიურად, ამ დადგენილების საფუძველზე, რამოდენიმე დღეში, სიმბოლური ოდენობის თანხის გადახდის შემდეგ ახალი ფირმის ჩამოყალიბებას წინ არაფერი ედგა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გარკვეული დადებითი გამოცდილებაც დააგროვეს და რეგისტრაციის პროცესში ბიუროკრატიული ბარიერის არსებობაზე იშვიათად თუ ვინმე დაიწუწუნებდა.

ახლა კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საწარმოთა რეგისტრაციის უფლება გადაეცათ სასამართლოებს. ბუნებრივია, ამაში არაფერია დასაძრახი. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ამ საქმეს ნოტარიუსებიც შშვენივრად ართმევენ თავს, თანაც ძალზე მოკლე ვადაში. ჩვენთან კი, რომ არაფერი ვთქვათ სასამართლოების მხრიდან გამოცდილების არქონაზე, საწარმოთა რეგისტრაციის წესი იმდენად ბუნდოვანი და გართულებულია, იმდენი თავისუფალი ქმედების საშუალებას იძლევა მოსამართლეთა მხრიდან, რომ ფირმის რეგისტრაცია გაუსაძლის და ხანგრძლივ პროცედურად იქცა. უკვე ითხოვენ უამრავ ისეთ საბუთს, რომლის მოტანა, რბილად რომ ვთქვათ, დიდძალი დროის ფლანგვას მოითხოვს. მაგალითად ცნობას იმის თაობაზე, არის თუ არა ნასამართლევი (?!) საწარმოს ესა თუ ის დამფუძნებელი და ა.შ.

საქართველოს ახალი კანონმდებლობით სავალდებულო გახდა (უკვე მერამდენედ) ფირმების ხელახალი რეგისტრაცია. რამდენიმე თვეში ძველ სარეგისტრაციო მოწმობებს ვადა გასდის. ხელახალი რეგისტრაცია კი,როგორც პირველი, ახლადდაფუძნებული ფირმების რეგისტრაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, გამოიწვევს დროის, ფულისა და ენერგიის ხარჯვას. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი გახდება მეწარმეობის გზაზე. ალბათ მანამ, სანამ არ გასულა ვადა, ხელისუფლებამ დროზე უნდა მიიღოს საჭირო ზომები,მიიღოს (ან აღადგინოს ძველი) რეგისტრაციის მარტივი წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას ისეთი სირთულეები, რაც შემდგომში ძნელი დასაძლევი იქნება.

თემურ ვაშაყმაძე

სუკ-ი

მესამე გვერდიდან

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, რომელიც გასცემს სახსრებს საბჭოთა სამეცნიერო კვლევებზე, სამმართველო ასევე წყვეტს საბჭოთა მეცნიერთაგან ვის მიეცეს საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრების უფლება და შეჰყავს თავისი თანამშრომლები საზღვარგარეთ მიმავალი მეცნიერთა თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში. სამმართველო „T“ იზრდება გამუდმებით, დღიდან მისი შექმნისა; 1972 წლისათვის თავის ცენტრში ითვლიდა რამდენიმე ასეული შტატის მუშაკსა და აგრეთვე სპეციალისტს ყოველ დიდ საელჩოში საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მას ჰყავს კონსულტანტების დიდი რაოდენობა საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგში. სამმართველო იყოფა ოთხ განყოფილებად.

ამ ბოლო დროს საბჭოთა ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ჩამორჩენილობა სამეურნეო საქმიანობაში ხშირად ხელს უშლით დროულად ჩანერგონ ტექნიკური ინფორმაცია მოქმედ საწარმოებში. ამიტომ უფრო და უფრო ინტენსიურად ცდილობენ დაიყოლიონ დასავლეთის ფირმები საბჭოთა კავშირში ქარხნების მშენებლობაზე და აგრეთვე,ადმინისტრაციული მართვისა და ტექნოლოგიების სპეციალისტების გაგზავნაზე სსრკ-ში. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო,ტექნიკური და სამრეწველო საიდუმლოებათა მიტაცებისადმი სუკ-ის ვნება არ სუსტდება.

დაბეგმვისა და ანალიზის სამმართველო (პირველი სამმართველო)

შეიქმნა 1969 წელს იმ საბაბით,რომ შეესწავლათ ძველი ოპერაციები და გულდასმით შეერჩიათ მეთოდები და პრინციპები, რომლითაც სუკ-ი შესძლებდა ესარგებლა მომავალში. აქამდე ეს სამმართველო გამოყენებული იყო როგორც „თბილი ადგილი“ სიბერეში შესული თანამშრომლებისათვის და იმ ადამიანებისათვის,რომლებიც შეუფერებელი ხდებოდნენ პარტიული შეფებისათვის.

საინფორმაციო სამსახური (სპეცსამსახური №1). ეს სამსახური აგროვებს და ავრცელებს პირველი მთავარი სამმართველოს ფილიალების მიერ მიწოდებულ მიმდინარე ინფორმაციებს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის მასალა,რომელსაც ამუშავებს სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველო. ამ სამსახურით დაინტერესებულია დასავლეთის ქვეყნების დაზვერვის ხელმძღვანელები. მათ აინტერესებთ არა ის,თუ რას აკეთებს სპეცსამსახური,არამედ ის, თუ რისი შესრულება არ შეუძლია მას. საინფორმაციო სამსახური,აგრეთვე, გამოსცემს ყოველკვირეული დაზვერვის მასალების ბიულეტენს პარტიის ხელმძღვანელებისათვის,ინსტრუქციას აძლევს საზღვარგარეთ დავალებით მიმავალ თანამშრომლებს,ცენტრალური კომიტეტის მითითებით სწავლობს გარკვეულ თემებს.

სუკ-ი ისწრაფვის შეამოწმოს მიტაცებული დოკუმენტების უტყუარობა და აგენტების პატაკების სიზუსტე. მაგრამ არც საინფორმაციო სამსახურს, არც სუკ-ის სხვა განყოფილებებს არ აქვთ პროფესიული გამომძიებლების დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც დაკავებული იქნებოდა დაზვერვის პატაკებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის შერჩევით. ყველაზე მნიშვნელოვანი პატაკები ხვდება პირდაპირ თავმჯდომარესთან —ანდროპოვთან, შემდეგ გადაეცემა პოლიტბიუროს და ხელმძღვანელობის სხვა წევრებს თავისი შეფასების მისაცემად. ყოველკვირეული ბიულეტენიც შედგება მთლიანად დაუმუშავებელი პატაკებისაგან, რომელთაც ინფორმაციის შემკრებნი თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებენ. ამგვარად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროს გარეშე საბჭოთა ხელმძღვანელები თვითონ უკეთებენ შეფასებას დაზვერვიდან მათთან შემოსულ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს.ეს ადამიანები ვითარდებოდნენ ვიწრო, ინტელექტუალურად შეზღუდულ პარტიულ ჩარჩოებში; მათი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა მათივე პროპაგანდის პირობებში; მცირე გამონაკლისის გარდა, ყველას მათ სუსტი წარმოდგენა აქვთ საზღვარგარეთის ქვეყნების შესახებ.

რუსებს ძალიან ძვირი დაუჯდათ კომპეტენტური, განათლებული სპეციალისტების არყოლა, რომელთაც შეუძლიათ ობიექტური მიუკერძოებელი შეფასება ჩაატარონ მოპოვებული ინფორმაციისა და იმისა, რაც ამ ინფორმაციის იქით იმალება. 1941 წლის 17 მაისს რიჰარდ ზორგემ ტოკიოდან გაგზავნა გაფრთხილება,რომ გერმანელები საზღვარზე თავს უყრიან 170-დან 190-მდე დივიზიას საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. უინსტონ ჩერჩილმა კი კიდევ უფრო არაორაზროვნად გააფრთხილა სსრკ გერმანიის მოახლოებული შემოჭრის შესახებ. მაგრამ სტალინმა,რომელიც თვითონ ახდენდა მიღებული სადაზვერვო ინფორმაციის შეფასებას და ეპირფერებოდა ნაცისტებს ბოლო დღემდე,პროვოკაციად ჩათვალა ყველა გაფრთხილება და უარყო ისინი. შესაბამისად,წითელი არმია იმდენად მოუმზადებელი იყო,რომ როცა დაიწყო ვერმახტის თავდასხმა, ვინმე საბჭოთა ოფიცერმა ცნობა გადასცა ფრონტიდან შტაბში: „გვიშენენ, რა ვქნათ?“ საბჭოთა აგენტები, რომლებმაც 1941 წელს გერმანელთა გენერალურ შტაბში შეაღწიეს, მოსკოში გადასცემდნენ ნაცისტების საომარ გეგმებს ზოგჯერ უფრო ადრეც, ვიდრე მათ მიიღებდნენ ბრძოლის ველზე მყოფი გენერლები.მაგრამ მთელი წლის განმავლობაში სტალინი და მის გარშემო მყოფი მლიქვნელები იგნორირებას უკეთებდნენ ასეთ უზუსტეს და ფასდაუდებელ ცნობებს.

კონტრდაზვერვის სამსახური (სპეცსამსახური №2). მიუხედავად თავდაცვითი გაგებისა,რაც მის სახელწოდებაშია, იგი თავისი არსებით თავდასხმითი ოპერაციების განყოფილებას წარმოადგენს. იგი ისწრაფვის შეაღწიოს საზღვარგარეთის უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებში არა იმდენად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშობის თავიდან აცილების მიზნით, არამედ უფრო იმ მიზნით, რომ არ მისცეს მათ შესაძლებლობა ჩაერიონ სუკ-ის საქმეებში. სპეციალურ ბრძანებულებაში, რომელიც ცენტრმა გამოსცა და განკუთვნილია დასავლეთ ევროპაში სუკ-ის ყველა რეზიდენტურისათვის, ჩამოყალიბებულია №2 სპეცსამსახურის ამოცანა. ეს დირექტივა,რომელიც ხელში ჩაიგდო და გაშიფრა დასავლეთის ერთერთმა დაზვერვამ, გვაუწყებს: „კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად, აუცილებელია დაიწყოთ დაუყოვნებლივ მოქმედება იმ მიმართულებით,რომ გამოყენებულ იქნას ყველა ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობა,რათა ჩვენი აგენტები ჩანერგილ იქნან აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და საფრანგეთის დაზვერვებსა და კონტრდაზვერვებში. თქვენ და რეზიდენტურას მკაფიოდ უნდა გესმოდეთ,რომ ჩვენი აგენტების ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში არყოფნის შემთხვევაში,ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა ძნელ პირობებში წარმატებით ჩავატაროთ ოპერაციები; გარდა ამისა,ჩვენ არ შეგვიძლია საზღვარგარეთ საბჭოთა დაზვერვის მუშაობაში უსაფრთხოების გარანტირება, აგრეთვე,საბჭოთა ქვეშევრდომების (არალეგალური აგენტების) “კეთილდღეობა იმ ქვეყნებში, რომლებშიც თქვენ მოქმედებთ“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დოკვაძე—გელბახიანს სიკვდილი აქვთ მისჯილი

შეიცვლება თუ არა რამე?

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობის კომიტეტი ბატონ სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ეს იყო სპასუხო ვიზიტი აზერბაიჯანული დელეგაციისა, რომელიც შარშან იმყოფებოდა საქართველოში. ძირითადად ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა პრესკონფერენცია,რომელიც ბატონმა სანდრო კავსაძემ 3 აგვისტოს გამართა.

პრესკონფერენციაზე განიხილეს სამი ძირითადი საკითხი.:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სამთავრობო ვიზიტის შედეგები

2. საზოგადოებრივი მოძრაობა ,,კონსტიტუციური საქართველო“.

3. წამება, ცემა-გვემა, ადამიანის ღირსების წინააღმდეგ.

სამივე საკითხზე ინფორმაცია ბატონმა სანდრო კავსაძემ გააკეთა:

ჩვენი მიზანი იყო გავცნობოდით ქართული დიასპორის ცხოვრების პირობებს, ამ მიზნით შევხვდით მოსახლეობას კახში და ბაქოში. გავიგეთ,რომ ეროვნული შევიწროების ფაქტებს ადგილი არა აქვს და ამ ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა ჩვენზე უკეთესია. საქართველო ვალდებულია ამ ხალხის წინაშე, რომ მათ სულიერი საზრდო მიაწოდოს. ქართულ სკოლებს, რომლებიც იქ შესანიშნავად ფუნქციონირებენ, უნდა მივაწოდოთ სახელმძღვანელოები. აუცილებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქართულმა მოსახლეობამ საქართველოდან მიიღოს ჟურნალ-გაზეთები, რომლის უკმარისობას ისინი ძალიან განიცდიან.

იყო შეხვედრები გეიდარ ალიევთან და ვიცე-სპიკერთან. ისინი თანახმანი არიან ქართულ მოსახლეობას აზერბაიჯანში მისცენ ორმაგი მოქალაქეობა. მაგრამ იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენ აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის საქართველოში (?!). ისევე როგორც ჩვენთან, იქაც არ არის მიღებული მიწის კანონი, ეს ძალიან აწუხებს აზერბაიჯანის ქართულ მოსახლეობას.

შემდეგ ბატონმა ალექსანდრე კავსაძემ ისაუბრა საზოგადოებრივი მოძრაობა ,,კონსტიტუციური საქართველოს“ შესახებ. ამ მოძრაობის მიზანია მხარი დაუჭიროს დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებას. ეს არ არის პოლიტიკური მოძრაობა, ის მხოლოდ კონსტიტუციის სრულყოფაზე იმუშავებს.

ჟურნალისტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მესამე საკითხმა: წამება, ცემა-გვემა ადამიანის ღირსების წინააღმდეგ.

ბატონმა სანდრო კავსაძემ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისი და პროკურატურის პოზიცია ადამიანის უფლებათა განსაზღვრის საკითხში ერთი და იგივეა. ის მიესალმება ფაქტს,რომ დაიწყო ადამიანის უფლებების სწორად დანახვა. თუ ადრე ამ საკითხში დაპირისპირება არსებობდა, დღეს პოზიციები შეიცვალა.მან აღნიშნა წამების შესახებ,რომელსაც დღემდე ადგილი ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო იზოლატორში. მან თავად ნახა ის წამებულები,რომლებიც ჩვენების მიცემის მიზნით ტანჯეს. აუცილებელია დამნაშავე დადგინდეს და დანაშაული გაიხსნას. ჟურნალისტის კითხვაზე, დოკვაძეს, გელახიანს სიკვდილი აქვთ მისჯილი, შეიცვლება თუ არა რამე? ბატონმა სანდრო კავსაძემ უპასუხა:

ადამიანის უფლებები თითოეულ სიკვდილმისჯილს გააჩნია. მათ უფლება ჰქონდათ გაესაჩივრებინათ განაჩენი. პროტესტი შეეტანათ უზენაეს სასამართლოში. როცა ყველაფერი დამთავრდებოდა, შეწყალებაზე მიემართათ გაეროსათვის, სახელმწიფო მეთაურისადმი. მან აღნიშნა,რომ სიკვდილმისჯილები ინახულა და უფლებებიც აუხსნა. სახელმწიფოს მეთაურს ამ საკითხზე კატეგორიული პოზიცია არ გამოუხატავს.

ბატონმა სანდრო კავსაძემ ვრცლად ისაუბრა სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე, მსოფლიო პრაქტიკაზე ამ საკითხთან დაკავშირებით და დასძინა, რომ დანაშაულის სიმკაცრეს დანაშაული აჰყავს უფრო მაღალ საფეხურზე.

ნინო ზამთარაძე

საქართველოს სამხარეო მოწყობის (ფაქტობრივად — ფედერაციული მოწყობის) გეგმის გამო

ნოდარ ნათაძე



წარმოდგენილი გეგმა მე მიმაჩნია

ა) ანტიმეცნიერულად

ბ) ანტისახელმწიფოებრივად

და აი, რატომ:

ფედერაციას,როგორც ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთშეკავშირებისა და ურთიერთგამიჯვნის ფორმას, თავისი **მოტივები**, ანუ თავისი გამამართლებელი და განმსაზღვრავი საფუძვლები აქვს. ეს საფუძვლები ორგვარია და, შესაბამისად, ფედერაციის შექმნის მექანიზმიც ორგვარი. **პირველია ის**, რომ ფედერირებად ერთეულებს აქვთ საერთო ინტერესი,რომელიც მოითხოვს მათს ერთ სახელმწიფოდ ყოფნას. ამის გამო ისინი ქმნიან ერთობას,რომელიც მანამდე არ არსებულა, და ამ ახალ ერთობას გადასცემენ (ანუ გადაუდელეგირებენ) იმ პირველადი უფლებების რაღაცა ნაწილს, რომელიც მათ შეერთებამდე ჰქონდათ. ასეთი წესითაა შედგენილი, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ფედერაციული სახელმწიფო. რატომ **ინახება** ასეთი წესით შექმნილი ფედერაცია დროის მანძილზე ანუ რატომაა იგი დროში მდგრადი? იგი ინახება და დროში მდგრადია იმიტომ, რომ ის უფლებები, რომელიც გადაეცა ახალ ერთობას, განსაზღვრულია რაციონალურად, ანუ თვით ერთეულთა შეულახავად, და ის ერთეულები, რომელთა ფედერირებაც მოხდა, თავისი ზომით, შეკავშირების ხარისხით (ეკონომიკური, გეოგრაფიული და სხვა) მიახლოებულია იმ ოპტიმუმთან, რომელსაც მოითხოვს მართვის და სხვა არსებითი ფუნქციების შესრულების ინტერესები. თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დარღვეულია, მაშინ ბუნებრივად ჩნდება ტენდენცია ან ფედერაციის დაშლისაკენ, ან ერთეულთა რომელობისა და ზომის გადასინჯვისაკენ, ან უნიტარობისაკენ. **მეორე** გზაა არსებული ერთეულის შიგნით ტერიტორიათა მიხედვით უფლებამოსილებების დანაწილება, ანუ იმის ურთიერთგაყოფა, რაც უკვე **არის**, როგორც ერთიანი. ამგვარი ფედერაციის შექმნის მოტივია სახელმწიფოს შიგნით ისეთი წინააღმდეგობების წარმოშობა ან ამოქმედება, რომლებიც ვერ გვარდება არსებული უნიტარული სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში. მაგალითი გახლავთ რუსული იმპერია, შემდეგ— რუსეთის ფედერაცია. იგი ერთიანი იყო იმპერატორების დროს, ხოლო ბოლშევიკების დროს ფედერაციად იქცა იმ მოტივით, რომ ეს ცვლილება სჭირდებოდა მასში შემავალ მცირე ერთა და ხალხთა უფლებების დაცვას. ასეთი ფედერაციის მდგრადობა,ანუ მისი გამძლეობა დროში, იმით განისაზღვრება თუ რამდენად სტაბილურია ურთიერთსაპირისპირო ძალთა ბალანსი, კერძოდ— უნიტარობის დამცველი ძალებისა ერთის მხრივ და უნიტარობის წინააღმდეგ მიმართული ძალებისა მეორე მხრივ. **სხვა** მოტივი და საფუძველი უნიტარული სახელმწიფოს ფედერალიზაციისათვის ან სახელმწიფოს მანამდე უნიტარული ნაწილის ფედერალიზაციისათვის არ არსებობს. არ არსებობს, გარდა ზემოხსენებული ორისა, არც ფედერაციის შექმნის სხვა გზა ან მოტივი.

საქართველო დღეს უნიტარულია, ანუ იგი ფედერალიზებული არაა თავისი ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც არ შედის აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ ერთეულებში. ამგვარად, საქართველოს ამ ნაწილის ფედერირება ვერ იქნება ახალი ერთიანობის **შექმნა**, იგი მხოლოდ არსებულის **დაშლაა**, ანუ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ გზათა შორის იგი მეორე გზაა. რაკი საქართველოს ეს ნაწილი დღეს უნიტარულია, ეს იმას ნიშნავს,რომ მის შიგნით არსებულ სხვადასხვა ტერიტორიათა შორის წინააღმდეგობა ან არ არსებობს, ან დაფარულია იმდენად, რომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოხატულება ვერ მიუღია. თუ საქართველოს ამ ნაწილის ფედერალიზაცია მოხდება, ეს იმას ნიშნავს,რომ ამ წინააღმდეგობებს— არსებულს თუ არარსებულს— აღიარება ეძლევა. კითხვა ისმის: არსებობს თუ არ არსებობს ამგვარი წინააღმდეგობები საქართველოს დღეს უნიტარული ნაწილის სხვადასხვა რეგიონებს შორის? პასუხია: არ არსებობს. მაშასადამე, არ არსებობს არც საქართველოს დღესდღეობით უნიტარული ნაწილის ფედერალიზაციის რაიმე საფუძველი.

დგება საკითხი: **რა მოჰყვება** ამ უსაფუძვლო აქტს, თუკი იგი მოხდება? მისი შედეგი იქნება ორი კატეგორიის ცვლილებები რეალურ ვითარებაში: **პრაქტიკული** და **პრინციპული. პრაქტიკული** სიახლე ის იქნება,რომ საქართველოს ერთი ფედერალური ნაწილის მაცხოვრებლის დროისა და ენერგიის რაღაცა ნაწილი — ანუ მისი ადამიანური პოტენციის რაღაცა პროცენტი — უნდა მოხმარდეს ერთი ტერიტორიული ერთეულის ინტერესთა დაცვას დანარჩენების პირისპირ, რაც რაღა თქმა უნდა, ეროვნული ძალების საერთო ჯამის შემცირებას იწვევს. დღეს (მხოლოდ ორი ავტონომიური ერთეულის არსებობის პირობებში) ეროვნული პოტენციალის ამ შედარებით მცირე გადახარჯვას ერის ეკონომიკური და სულიერი ენერგიის მარაგი **იტანს**, მით უმეტეს,რომ აფხაზეთის ქართველების დიდი ნაწილისათვის ყველა სხვა ამოცანა, დიდი ხანია, აფხაზეთში ეროვნული გადარჩენის ზოგადი ამოცანით არის დაჩრდილული. მაგრამ მდგომარეობა შეიცვლება, როცა ამ ურთიერთდამბალანსებელი (არ მინდა ვთქვა — ურთიერთსაპირისპირო) ინტერესთა ასპარეზი მთელი საქართველო გახდება. ეს რაც შეეხება პრაქტიკულ შედეგებს. **პრინციპულად** კი ზემოხსენებული სიახლე შემდეგს ნიშნავს: თუ საქართველოს არაფედერირებული ნაწილის მაცხოვრებელს დღეს მხოლოდ ერთი მოქალაქეობრივი თვითგანსაზღვრა აქვს — სახელდობრ, იგი ამბობს „მე ვარ საქართველოს მაცხოვრებელი და მე მაკისრია მოვალეობა საქართველოს წინაშე“ — ამიერიდან მას დაემატება კიდევ ერთი თვითგანსაზღვრა: „მე ვარ, ამავე დროს, ამადა ამ ერთეულის (მხარის, კუთხის) მაცხოვრებელი და მოვალეობა მაკისრია ამ ერთეულის წინაშეც“. ადმინისტრაციული, მით უმეტეს— ტერიტორიულ-პოლიტიკური დაყოფის უმძლავრესი გავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე ხომ კარგად ცნობილია! როდესაც ასეთი ერთეული მხოლოდ რაიონია, ანუ მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულია,რომელსაც, სახელმწიფოს მიერ დაკისრებულის გარდა, სხვა საკუთარი უფლებამოსილებები და ფუნქციები არ გააჩნია, ანუ თუ ეს ერთეული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მხოლოდ **ობიექტია** (ზრუნვისა, მოვლისა, გამოყენებისა...), მაშინ ზემომოყვანილი მსჯელობა „მე მაკისრია მოვალეობები იმ ერთეულის წინაშეც, რომელშიც ვცხოვრობ“, ვერ გამოიწვევს ამ მოქალაქის ფსიქოლოგიურ გამოყოფას ამავე სახელმწიფოს სხვა მოქალაქეებისაგან (სხვაგან მაცხოვრებელთაგან) ზოგადსახელმწიფოებრივ ინტერესებთან დამოკიდებულების და ამ უკანასკნელთა განსაზღვრის მხრივ. მაგრამ როგორც კი ეს ერთეული ხდება სახელმწიფოს შემდგენელი ერთ-ერთი **სუბიექტი**, ანუ ისეთი ერთეული, რომელსაც **თვითონ** აქვს სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელი რიგი არსებითი ნიშნები და მხოლოდ **იმიტომ** არაა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ დანარჩენი ერთეულების მიერ, ანუ მათი ცენტრალიზებული სიმრავლის მიერ, სახელმწიფოებრიობის ეს დანარჩენი ნიშნები (ფუნქციები) მინიჭებული არა აქვს, მაშინ გარდუვალია,რომ მოქალაქე კითხვას სვამს, რამდენად სამართლიანია ამ გადმოცემული და გადმოუცემელი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების არსებული შეფარდება. ამ მოქალაქისათვის საკუთარი ტერიტორიული ერთეული (კუთხე, მხარე...), ერთის მხრივ, და საქართველო, როგორც მთელი, მეორეს მხრივ, რომელობრივად (ქვალიტატურად) განუსხვავებელ და მხოლოდ ხარისხობრივად განსხვავებულ ოდენობებად იქცევა.

ხაზი უნდა გაესვას შემდეგს. ზემოთქმულს არ ეწინააღმდეგება ის, რომ მხარეებს, ანუ არასრული სახელმწიფოებრიობის მქონე ერთეულებს, ფედერაციის სუბიექტებს და მათს მაცხოვრებლებს თავისი სამხარეო ინტერესების გვერდით აგრეთვე ზოგადეროვნული, სახელმწიფო ინტერესები ექნებათ. არსებითია მხოლოდ ის, რომ არსებობს პირველი ჯგუფის ინტერესებიც, როგორც მეორეთაგან მხოლოდ **ხარისხობრივად** განსხვავებული. ეს ინტერესთა იერარქია ზუსტად ისაა, რასაც ფეოდალური საზოგადოებებიდან ვიცნობთ და რისი დაძლევაც საქართველოს პოლიტიკური ცნობიერების მთელს ისტორიას შეადგენს. მოვიყვანთ მაგალითს. კახეთის ფეოდალებმა კახეთს უერთგულეს და შაჰთამაზის ლაშქრობა სამცხისაკენ წარმართეს, რითაც საქართველოსაგან მისი ერთი მესამედის მოგლეჯის პროცესი დაიწყო. გიორგი სააკაძემ შაჰ-აბასის სარდლობაში გაატარა ის თვეები,რომელიც ამ უკანასკნელმა კახეთის დაპყრობასა და აყრას მოანდობა (რის შედეგადაც აღმოსავლეთი კახეთი ანუ საინგილო საქართველოს აღარ დაჰბრუნებია), მაგრამ იმავე გიორგი სააკაძემ ხმალი აღმართა შაჰის წინააღმდეგ, როცა მან იმავე ოპერაციის ჩატარება სააკაძის მშობლიურ ქართლში დააპირა.

ფეოდალური გათიშვის ამ საფრთხეს— არა მარტო ქვეყნისათვის,არამედ თვით ერისთვისაც — ამძაფრებს ორი სხვა ფაქტორიც. პირველი: ქართველი ერის შემადგენელი ელემენტები დღეს თავის ცნობიერებაში არა მარტო გეოგრაფიულად არიან განსხვავებულნი, არამედ გენეტურ-ანთროპოლოგიურადაც. მაგალითად, არსებობს შეხედულება (თუ გნებავთ, მითოლოგემა), რომ რაჭველი ზანტია, გურული მკვირცხლი და ა.შ. მეორე ფაქტორი: ზოგადეროვნული ბაზარი (და, საერთოდ, ეკონომიკური სივრცე),რომელიც ერის „დე ფაქტო“ კონსოლიდაციის ფაქტორადაა ცნობილი, დღეს საქართველოში არ არსებობს და მის შექმნას დიდი გარე ძალები უშლიან. ამიტომ მეცნიერულად პროგნოზირებადია, რომ ერთ, ორ ან, მაქსიმუმ, სამ თაობაში უკვე შეილახება რიგითი ქართველის ეროვნული თვითიდენტიფიკაცია: რომ კითხვას „ვინ ხარ“, იგი უპასუხებს არა ქართველობის დასახელებით,არამედ თავისი კუთხურობის დასახელებით, რაც ერის რამდენიმე ერად გათიშვას ნიშნავს.

ეს განვითარება, როგორც ხედავთ, მეცნიერულად პროგნოზირებადია და მე ვიწვევ ყველას, სახელმწიფოს მეთაურიდან დაწყებული, საკამათოდ ამ საკითხზე, თუკი ოდნავი ეჭვი მაინც არსებობს ამ პროგნოზის სისწორეში.

თავს უფლებას მივცემ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ განსახილველი პროექტის ეტიოლოგიის შესახებ. თუ ეს პროექტი ქართველი ეროვნების ადამიანთა მოფიქრებულია,იგი მეტყველებს ან მათს ჩაუხედაობაზე როგორც ისტორიის, ისე პოლიტიკის საკითხებში, ან მათს არაკეთილსინდისიერებაზე. თუ იგი შედგენილია არაქართველების მიერ საქართველოს ძირის გამოთხრის მიზნით, მაშინ იგი მეტყველებს მათს განსწავლულობაზე ამ ორსავე სფეროში; თუ იგი შედგენილია მტრების მიერ, მაგრამ მოწოდებულია ქართველების მიერ, როგორც საკუთარი დაგეგმვის შედეგი, მაშინ მისი ამ დეზინფორმაციული წესით მოწოდების ფაქტი უმძიმესი დანაშაულია ერის წინაშე. მე რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, იგი შედგენილია არაქართველების და არა საქართველოს მოქალაქეების მიერ. ჩემი მოთხოვნაა, სახელმწიფოს მეთაურმა და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ან ცალსახად უარყოს, ან ცალსახად დაადასტუროს ეს ფაქტი, ხოლო თუ დაადასტურებს, ეს ქაღალდი იმასვე მიუგდოს, ვისგანაც მიიღო შეკვეთის სახით.

პარლამენტში გამოსვლის ტექსტი.

30. 07. 95 წ.

ვბეჭდავთ მასალას თურქეთის ინგლისურენოვანი გაზეთიდან „Turkich Daily News“ ეს გახლავთ თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელის ექსკლუზიური განცხადება ამ გაზეთისათვის,იგი ეხება თურქეთის საშინაო პოლიტიკის ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

ტერორიზმის პრობლემა თურქეთში ხელწამოსაკრავი არაა. მას 10 წლის ისტორია აქვს. ეს სისხლმდინარე და მტკივანი ჭრილობაა. ჯერ გადავხედოთ შედეგებს: 3076 უშიშროების თანამშრომელია მოკლული, 3614 სამოქალაქო, 8319 ტერორისტი. ეს გახლავთ იმ საკითხის არსი,რომელზეც გესაუბრებით. ძალიან სისხლიანი სურათია. ახლა ვნახოთ, ვინ არიან ის 3614 სამოქალაქო. მეჰმეტ ბარუთი, 25 წლის, ჰანიფე ასლანი, 12 წლის. მესუთ ასლანი, 9 წლის, თაიიფ ბარუთი, 90-ის. ეს მხოლოდ რამდენიმეა იმ 3614-დან. სადაურები არიან? 19 კაცი სოფ. ჰამზალიდან არიან, დიარბაქირის პროვინციაში. ისინი — ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) სეპარატისტი მებრძოლები — მოდიან, ერთი დარტყმით კლავენ 19 სულს და მიდიან. სტატისტიკა, 3614 სული მოიკლაო, ბევრს არაფერს ამბობს. მთავარი ისაა, რომ 9 წლის მესუთიდან 90 წლის თაიიბამდე განურჩევლად ხოცავენ, არ დასდევენ ბავშვია, ქალია თუ მოხუცი. ეს დაიხსომეთ კარგად!

თურქეთის რესპუბლიკის 3076 უშიშროების თანამშრომელმა დადო თავი, რათა სხვებმა — სამოქალაქოებმა — იცოცხლონ. ვინ არიან ესენი, ქვეყნის სასაფლაოები რომ გაავსეს? 20—23 წლის ბიჭები არიან, თავისი სიცოცხლის გაზაფხული რომ აქვთ. ვინ არიან? პოლიციელები. ვინ არიან? ოფიცრები. ვინ არიან? უმცროსი ოფიცრები. ვინ არიან? მასწავლებლები, ღვთისმსახურნი. ეს არ არის განცალკევებული ინციდენტის ისტორია, მხოლოდ რამდენიმე კაცის სიკვდილი ქვეყნის რომელიღაც კუთხეში.

საკითხავია: რატომ კვდებიან? ვხედავთ,რომ მოკვდა 3614 სამოქალაქო და 3076 უშიშროების მუშაკი. დღეს ყველგან, თურქეთის შორეულ კუთხეებშიც კი, დაღუპული ახალგაზრდის ცხედარი რომ მოდის, ათასები იკრიბებიან სოფლებიდან და ქალაქებიდან და თავის რისხვას გამოხატავენ, ისინი გამოხატავენ მზარდ დაძაბულობას. მე ეს მაწუხებს. ჩვენ პოლარიზაციის მოწმენი ვართ.

მაგრამ წუხილს რომ გამოვთქვამ, ეს განა კოშმარია? მე მხოლოდ ხაზი მინდა გავუსვა რაღაცას.

შევხედოთ ამ წლის პირველი ოთხი თვის სურათს. თქვენ მეტყვით: „მერე რა, ეს აგერ ათი წელია უკვე ხდება“. მაგრამ მაინც გადავხედოთ ამ სურათს. მოკლულია 186 უშიშროების თანამშრომელი,ოფიცრები და უმცროსი ოფიცრები, ოც წელს ოდნავ გადაცილებულები . 130 სამოქალაქო, მათ შორის ბავშვებიც და 1262 ტერორისტი...

თუ გადახედავთ ათი წლის სტატისტიკას, მოკლულია 8389 ტერორისტი, ესენიც ამ ქვეყნის ვაჟები და ქალიშვილები. მართალია, მათში იყვნენ სირიელებიც და ღმერთმა იცის საიდან მოსულებიც, მაგრამ ძირითადად მაინც ჩვენი ქვეყნის შვილები იყვნენ. გული მტკივა მათზე. მათ ჩაგონეს კვლის სურვილი და, რობოტებივით, ერთი მიმართულებით გაუშვეს. ისინი ჩვენი ქვეყნის შვილები იყვნენ, ვისაც ლამის მონატრეს სიკვდილი, რათა ქურთული სახელმწიფო შექმნან მიწებზე, რომელთა განთავისუფლებას იჩემებენ. ეს ძალიან ცუდი სურათი გახლავთ.

შესაძლოა, მართალნი იყოთ (TDN-ვით), როცა აღნიშნავთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დასავლეთში მისული ყოველი კუბო PKK-ს ათ ახალ მტერს სძენს და, პირუკუ, ყოველი მოკლული PKK-ელი სეპარატისტი, რომელიც ამ საქმისთვის მოიკვლება, 5 ახალს აჩენს მთიანეთში. თქმული მხოლოდ მიგვანიშნებს, თუ რამდენად მწვავეა და გამაღიზიანებელია ეს პრობლემა. როგორ რეაგირებს თურქეთი ამ პრობლემაზე? როგორ რეაგირებს მასზე გარესამყარო?

ახლა მოგახსენებთ ამას. თურქეთში პარლამენტი, პრესა და ხალხი მხარს უჭერს სახელმწიფო ძალებს, რათა მიიყვანონ საქმე ბოლომდე. თურქეთში არავის უნდა მათთან (სეპარატისტებთან) დიალოგი. არავინ გვეუბნება, პოლიტიკური გადაწყვეტა იპოვეთეთო.

ხაზს ვუსვამ რომ, თუ მათ ლაპარაკს დაუწყებთ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს დაუწყებთ ძებნას, ვეღარ გაუწევთ კონტროლს ჩვენი ქვეყნის ქუჩებს. თქვენ ვეღარ დააკავებთ თურქული ნაციონალიზმის აზვირთებას და ქვეყანას უკონტროლოს გახდით. მე მთელი ძალით ვცდილობ, ეს არ მოხდეს. იგივეა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. თუ რომელიმე ხალხი მთაში მოთავსდება და თუ ეს ხალხი მუშაობს დესტრუქციული მიმართულებით, რათა საქმე ისე წარმართონ, როგორც უნდათ, — ისე,რომ საქმე ხელიდან წავიდეს — მაშინ ორი აზრი არაა იმაზე,რა მოქმედება უნდა იქნას არჩეული. არჩევანი ერთია და ეს არჩევანია იმ ხალხის არაქმედითად ქცევა.

არავინ დადებს თავის ქვეყნის ბედს მაგიდაზე და არ გახდის მას ვაჭრობის საგნად. ეს უნდა კარგად იცოდეს ყველამ — გინდ თურქეთში ცხოვრობდეს და გინდ სხვაგან!

მე არასოდეს მითქვამს ეს ვინმესთვის ისე ცხარედ,როგორც ახლა მოგახსენებთ. შემიძლია ეს ღიად ვუთხრა ჩვენს ერს ხვალვე და ამით გავზარდო

უცხოეთის პრესაში

ყურადღებით წაიკითხეთ!

და ბევრ რამეს გაიგებთ მსოფლიოს ამ კუთხის შესახებ, რომელშიც ვიმყოფებით

დაძაბულობა. მაგრამ არ მინდა ასე მოვიქცე.

რა უნდა ამ ხალხს ახლა? აი, რა უნდათ (დემირელი უთითებს „ქურთისტანის“ რუკაზე)! მათ საკვები ან პური როდი უნდათ, საკუთარი ტელევიზია ან საკუთარი ენა! მათ უნდათ მიწა. მათ უნდათ დროშა და მათ უნდათ აი ასეთი სახელმწიფოს დაარსება.

თურქეთის დასავლელმა მეგობრებმა უნდა გაიგონ — ახლა მათ მივმართავ — ვინ არიან ესენი და რა უნდათ. სამწუხაროდ, თურქეთი აქ რაღაცა გაურკვეველი მსჯავრის საგნად გამხდარა, თურქეთი ჩაბმულია ძალისხმევაში, რომ დაიცვას თავისი მიწა და ხალხი,რომელიც ამ მიწაზე ცხოვრობს.

საქმე ისე გამოჰყავთ, თითქოს თურქეთი ამას კი არ აკეთებს, არამედ, უბრალოდ არღვევს ადამიანის უფლებებს. აი, რას ამბობენ თურქეთის შესახებ!

თურქეთში არის ადამიანის უფლებათა დარღვევები. მაგრამ ის სხვა რამეა. არავის უნდა შეეშალოს ერთმეორეში ეს ორი საგანი. აი, რატომ ვცდილობ იმის გადარჩენას,რაზეც მოგახსენეთ. თურქეთი იცავს თავის მიწას, თავის ხალხს და თავის საზღვრებს. ამიტომაც ვამბობ ამას და დასავლეთმა უნდა გაიგოს ეს. მე რომ ამას ვამბობ, ამიტომ თურქეთი დასავლეთს უნდა მოსწყდეს? პირიქით! ერთ რამეს გეტყვით, თუ დასავლეთმა ვერ გაუგო თურქეთს, მაშინ თურქეთი ყველა შემთხვევაში მოსწყდება დასავლეთს. როგორც დასავლეთის მეგობარი, მე ვეუბნები მათ, რომ მათი დაჟინება ამ მიმართულებით გამოიწვევს თურქეთის მოწყვეტას დასავლეთისაგან. მაგრამ არის ადამიანთა ჯგუფი, შინაც და საზღვარგარეთაც, ვისაც ჩემი არ ესმის. მრავალი წელია, მეუბნებიან, თურქეთის ინტერესია დასავლეთთან ყოფნაო. დიახ, ბევრი რამ უთქვამთ ჩემთვის იმის გამო,რომ ვამბობ, დასავლეთთან უნდა ვიყოთ-მეთქი.

მაგრამ შეხედეთ, რა ხდება, თურქეთის დიდმა უმრავლესობამ გაიგო ეს. იმათ, ვინც ჩაბმულია ამ ამბავთან ბრძოლაში, გაიგეს, რომ მიზანი ამ ამბების ... არის ამ ქვეყნის ერთი ნაწილის ჩამოცილება. იმათ, ვინც ტერორიზმის წინააღმდეგ ომშია ჩაბმული, ოთხი წლის წინ გვითხრეს: „გაარკვიეთ,რა არის თქვენი პოზიცია, როგორც სახელმწიფოსი. ან ასე გვითხარით, ან ისე. სხვა სიტყვით: თუ ეს მიწა ჩვენ უნდა დავიცვათ, დაგვაცვევინეთ იგი. თუ არა, მაშინ ნუ დავიცავთ“. ჩვენ მათ ვუთხარით, რომ ეს მიწები უნდა დავიცვათ. მე იმას გეუბნებით, რაც სტრიქონებს შორის უნდა წაკითხულიყო. არავინ მოსულა და არ მოუცია ჩვენთვის ასეთი შეკითხვა. მაგრამ სწორედ ესაა,რაც ჩვენს ყურს მოსწვდა.

„არა, ბატონო! როგორ შეიძლება არ დაიცვათ?“ — ასეთი იყო პასუხი. სხვაგვარად რომ ვთქვათ: სახელმწიფომ აჩვენა მტკიცე ნება, რომ ხელი მოჰკიდოს ამ პრობლემას, და ეს ადამიანები კვდებიან იმისათვის,რომ ის ადამიანები დაიცვან. მაგრამ მათ ისიც ეთქვათ, რომ როდესაც ხალხს იცავენ, მათ უნდა უზრუნველყონ ისიც, რომ ხალხი არ გაიტანჯოს. რომ ისინი უნდა ჩაეხუტონ ამ ხალხს, მაგრამ ამავე დროს უნდა გაათავისუფლონ იგი იმ შემაწუხებელი ფაქტორისაგან, რომელიც მათ დღეს ტანჯავს. ლაპარაკია ამ რეგიონში მაცხოვრებელ ადამიანებზე, რომლებიც თავს ქურთებს უწოდებენ და ქურთულად ლაპარაკობენ. სწორედ ესენი არიან შეწუხებულნი. 3614 მოკლულიდან უმრავლესობა ისინია, ვინც ქურთულად ლაპარაკობს. იმ დახოცილი 8389-ისათვისაც (ტერორისტებისთვის) გვითქვამს „მოდით, დაგვნებდით და შეეფარეთ თურქეთის რესპუბლიკის სამართალს“. საუბედუროდ, სათანადო პასუხი ვერ მივიღეთ. ამ მოწოდების შედეგი ძალიან მცირე იყო.

როგორ უყურებს ამას დასავლეთი? გეტყვით, რა მაწუხებს. ჯერ ამას გკითხავთ: რას იზამს თურქეთის რესპუბლიკა ამ პრობლემის წინაშე? მე იმას ვიზამ, რასაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფო აკეთებს ასეთ ვითარებაში და ასეც ვშვრები.

თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მრავალი საშუალება აქვს ხელთ. იგი იყენებს ერთ მათგანს. ეს გაგლავთ საგანგებო მდგომარეობის მმართველობა. შეუძლებელია ამის კრიტიკა? არა. მას ოთხ თვეში ერთხელ აკრიტიკებენ თურქეთის პარლამენტში, არავინ ეწინააღმდეგება ხოლმე მის შემოღებას ან არსებობას. მაგრამ უმრავლესობა მას მაინც მხარს უჭერს: პრესაშიც აკრიტიკებენ, ყველგან აკრიტიკებენ. მაგრამ ყველა ფრთხილად უნდა მოიქცეს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს იმათ მორალურ სიმტკიცეს, ვინც ამ პრობლემის გადაჭრაშია ჩართული თავის მოვალეობისამებრ.

ამასაც გეტყვით. თურქეთს რომ ამ პრობლემისთვის ყურადღება დაეთმო და იგი სამი წლის წინ გადაეჭრა, დღეს ეს პრობლემა საერთაშორისო დონეს ვერ მიაღწევდა. თუ თურქეთი მას ყურადღებას დაუთმობს წელს, მაშინ საერთაშორისო სფეროში ვითარება გაუმჯობესდება. თუ ასე იქნა, თურქეთმა ეს პრობლემა უნდა მოამთავროს. მეკითხებიან: „რას გულისხმობთ მის მომთავრებაში?“ ვპასუხობ: იმას, რომ ეს პრობლემა არაეფექტიანი (არაქმედითი) გავხადოთ. თურქეთის რესპუბლიკას ვერ ვესიამოვნება საკუთარ მოქალაქეთა მოკვლა და მათი სისხლის ღვრა. მას არა აქვს ასეთი ზრახვა, ეს ამწუხრებს მას. ეს ტერორისტებიც ჩვენი შვილები არიან.

მაგრამ დიდი ტანჯვით შევყურებ, ისტამბულში, ჰურიეტის ქუჩაზე რომ სამი ქალიშვილი გუდვით კვდება კვამლის შედეგად, ეს კი სწორედ მათი ნამოქმედარია. ტანჯვით შევყურებ სამი უდანაშაულო კადეტის სიკვდილსაც სტამბულის თუზლას სადგურში ბომბის აფეთქებით. ამიტომაცაა აუცილებელი ისინი არაქმედუნარიანნი გავხადოთ.

არსად მსოფლიოში ხალხი მოწყალებით არ მოეკიდება მკვლელებს. რა კეთდება? მათ ქმედისუუნაროს ხდიან, რათა მკვლელობა ვერ განაგრძონ. ამ კითხვას ასე მივუდგები: რა უნდა ამ ხალხს? მათ უნდათ მიწა, მათ უნდათ დროშა. ისინი არც რეგიონის წარმომადგენლები არიან, არც იქაური ხალხის. ისინი მხოლოდ კლავენ. როგორ უყურებს მათ დასავლეთი? იგი ტერორიზმის საკითხს განიხილავს ქურთულ პრობლემასთან ერთად. შარშანდლამდე დასავლეთის ბევრი სახელმწიფოსთვის იყო ტერორიზმის საკითხი,მაგრამ ახლა რომ ამბობენ „გადაჭერით ქურთული პრობლემა“, ეს თითქმის ტერორიზმის მხარდაჭერაა.

აქ ჩამოსული უცხოელები მეუბნებიან, რომ ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში ისინი ტერორისტებს უყურებენ როგორც ჯგუფს,რომელიც ქურთების უფლებებს იცავს, ისინი ასე ხედავენ ამ საკითხს. რას ვაკეთებ მე? მე ვეუბნები: „ნუ იქცევით ასე. ესენი ადამიანების კლავენ“. ისინი მეუბნებიან, ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, მაგრამ საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ბევრს ითვლის ისეთს, ვისაც PKK-ს ტერორისტები ქურთების პოლიტიკური და სოციალური უფლებების დამცველებად მიაჩნია. ამგვარად, თუ ჩემ ქვეყანაში ყოველივე ეს ხდება და თუ მე ვიბრძვი იმისთვის, რომ არ იღვრებოდეს 9 წლის გოგონასა და 90 წლის ბერიკაცის სისხლი, და თუ დანარჩენ მსოფლიოში ამას უყურებენ, როგორც უფლებებისათვის ბრძოლას მკვლელთა მხრიდან, მე ეს ძალიან მაწუხებს.

ამასაც გეტყვით: მეტად შეშფოთებული ვარ, დასავლეთს რომ ვახსენებ, მთელ დასავლეთს არ ვგულისხმობ, მაგრამ ეს შეხედულება არსებობს დასავლეთში და დასავლეთის პარლამენტებში. დასავლეთის მთავრობები უფრო გამგებიანნი არიან, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ისინიც გავლენის ქვეშ არ მოექცევიან.

შეხედეთ წერილებს პრესაში, ისინი ლაპარაკობენ „სახელმწიფოს არმქონე ერზე“, ანუ ივარაუდება,რომ არსებობს ერი,რომელსაც სახელმწიფო არა აქვს,და რომ ეს ერი შედგება 25 მილიონი სულისაგან. ჩვენ თუ რამე ვთქვით ამაზე, მაშინ თვლიან, რომ ადამიანის უფლებებს ვარღვევთ. აი აქაა შეცდომა.

რა მაიძულებს,ვიფიქრო და ხმა ავიმაღლო? აი ამის ახსნას ვცდილობ თქვენთვის. რომ ამბობენ, „მონახეთ ქურთების პრობლემის გადაჭრა“ ეს თითქმის იგივეა, რაც ტერორიზმის გამართლება. გვეუბნებიან: „დიახ, არის ტერორიზმის პრობლემა და თქვენ მართალნი ხართ, მას რომ ებრძვით. მაგრამ არის ქურთების საკითხიც!“ როცა, იკითხავთ,რა არის ე.წ. ქურთების საკითხი და როცა პასუხად ამ ორ რასმე ერთად გეტყვიან, ეს ცვლის მთელ საქმეს.

რეიტერის ერთმა კორესპონდენტმა მკითხა სანტიაგოში სასახლეში,რომელიც დაბომბეს: „თქვენ კლავთ იმათ,ვინც ქურთი ხალხის უფლებებს იცავს“. ერთი სიტყვით, ისინი კი არ ყოფილან მკვლელები,არამედ ჩვენ! მე ამ დასკვნამდე მხოლოდ ახალ ამბავთა სმენით და გაზეთების კითხვით როდი მივდივარ. მე ვარ სახელმწიფო, ვარ სახელმწიფოს მეთაური, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ სახელმწიფოს მიერ მომზადებული მოხსენებები მაქვს, არამედ იმიტომ, რომ მთელი მსოფლიოდან მოსულ კითხვებს ვაწყდები. ახლა მივადექი ევროპის თათბირის მიერ 26 აპრილს მიღებული რეზოლუციის საკითხს. რას ამბობს იგი მე-6-ე და მე-12-ე მუხლებში? იგი ამბობს „იპოვეთ ამ საკითხის გადაჭრა“. იგი ამბობს „იპოვეთ პოლიტიკური გადაჭრა“ და რეზოლუციაში თემა სხვა პუნქტამდე მიდის.

ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციაც იმავე პუნქტთან მიდის. იგი ამბობს, „ჩვენი რეკომენდაციაა, მოძებნილ იქნას პოლიტიკური გადაწყვეტა, რათა გაანელოს დაძაბულობა აღმოსავლეთ პროვინციებში“. სხვა სიტყვით, ისინი ამბობენ, რომ ჩვენი ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ სწორია, მაგრამ ჩვენ გვმართებს პოლიტიკური მოგვარების პოვნა. თუკი არსებობს პოლიტიკური გადაჭრა საკითხისა, რატომ ვიქნები მე მისი ძებნის წინააღმდეგი?

ნახეთ, რას მპასუხობენ, როცა ვეუბნები „მითხარით, რაა პოლიტიკური გამოსავალი?“ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა 1995 წლის 24 იანვარს მითხრა ეს ამ ოთახში. მან მითხრა, რომ თურქეთის უნიტარული ხასიათი შესაძლოა იყოს ტერორიზმის წყარო, რომ სამხედრო საშუალებები ტერორიზმის ამოსაძირკვად შესაძლოა უკმარი იყოს თავისთავად აღებული და რომ უმცირესობათა უფლებების დაცვის წესმა (provision პრინციპებმა), რაც შეიმუშავა ევროპის საბჭომ, შეიძლება დაძლიოს ეს პრობლემა. შემდეგ მან დასძინა, რომ საჯარო დებატის გაშლა ქურთებისათვის უმცირესობის უფლებათა მიცემის შესახებ შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ამ მხრივ.

ნება მომეცით, ბატონებო, ერთი რამ გითხრათ, ეს, რასაც გვეუბნებიან, სევრსაც კი აჭარბებს (დღეს ძალაში არმყოფ ხელშეკრულებას თურქეთის გაყოფის შესახებ I მსოფლიო ომის შემდეგ). ეს სევრის დებატები გახლავთ. თუ აპირებთ იმ მთიელ ხალხს მისცეთ მიწა, მაშინ ეს სევრია. ისინი გვეუბნებიან, არა, ეს არ გვაქვს მხედველობაშიო.

მაგრამ ისინი გვეუბნებიან: იპოვეთ პოლიტიკური გადაწყვეტა. რა არის ეს გადაწყვეტა? როცა გეუბნებიან, სცანი უმცირესობათა უფლებები ან კულტურული ავტონომია, ეს სევრი გახლავთ. რატომ? იმიტომ, რომ როცა ამბობ „უმცირესობათა უფლებები“, ამით თურქეთს ძირს ურყევ. კარგად ვთქვათ ეს. ამით თურქეთს ძირს ურყევთ იმიტომ, რომ ის, რასაც თურქეთი დღეს უჭირავს და მას მართვადად ხდის, ის გარემოება [illegible] სხვადასხვა ეთნიკური [illegible] და რელიგიის ადამიანები თავისთავს თურქეთის ისტორიისა და მისი მომავლის პატრონებად (მესაკუთრეებად) თვლიან.

თქვენ მეტყვით: უმცირესობის უფლებებიო. მაგრამ არაა განსხვავება ჰაკარიში მყოფ და ედირნეში მყოფ კაცს შორის. ახლა გიჩვენებთ რაღაცას. ეს არის ერთი სასამართლოს განსაზღვრება ნახეთ, რას ამბობს იგი: ეს მოხსენება შინაარსობრივად არის 1994 წელს გადაწერილი სევრის ხელშეკრულება, 1920 წელს ხელმოწერილი და უკუგდებული თურქი ხალხის განმათავისუფლებელი ომის პროცესში“.

რას ეხება ეს სიტყვები? ესაა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ჰოლანდიელი დეპუტატის იურგენსონის მოხსენების დამოწმება, მე როდი ვამყარებ ჩემს მსჯელობას ამ მოხსენებაზე. იგი შემთხვევით გამახსენდა.

ამით შევაჯამებ ჩემს სათქმელს. კიდევ მინდა სხვა რამ წავიკითხო DEP-ს ვერდიქტიდან (სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს ვერდიქტი დღესდღეობით აკრძალული პრო-ქურთული დემოკრატიული პარტიის შესახებ).

„დასავლეთის პრესიდანაც და დასავლეთის პარლამენტების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდანაც ჩანს,რომ თურქეთმა ვერ აუხსნა თავისი სულისკვეთება სხვებს და მას ვერ გაუგეს.თურქეთისთვის შეუძლებელია შეინარჩუნოს თავისი ერთიანობა თუკი იგი აღიარებს უმცირესობათა უფლებებს“.

ეს მითხრა გენერალურმა მდივანმა: ეს ჩადებულია, მეტ-ნაკლებად, ევროპის თათბირის რეზოლუციაშიო. უმცირესობათა უფლებებიო? ბოლოს-დაბოლოს, ჩვენ გვეუბნებიან „არ მიგიღებს საბაჟო კავშირში, როგორც ახლა ხართო“.

როგორ მოვიქცეთ? ისინი გვეუბნებიან „კარგი,დემოკრატიზაციის საკითხი — ეს სხვა საკითხიაო, მაგრამ მოუძებნეთ გადაწყვეტა ქურთების პრობლემასო“.

ამას რომ გვეუბნებიან, თურქეთი დიდ გასაჭირში ვარდება. ჩვენი სიძნელეები კარგად უნდა გაიგონ. თურქეთის ძალისხმევა, რომ დაიცვას თავისი საზღვრები, თავისი მიწა და თავისი ხალხი, არ უნდა ითვლებოდეს ადამიანის უფლებათა შელახვად. შესაძლოა, იყოს მათი დარღვევის ცალკეული შემთხვევები, მაგრამ თურქეთის სახელმწიფო არ იწონებს ამას. თურქეთზე შესაძლებელი იქნებოდა აუგის თქმა,სახელმწიფო რომ თვალს არიდებდეს ასეთ დარღვევებს, მაგრამ ნათელია,რომ თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკა არაა თავისი მოქალაქეებისათვის მათი უფლებების შებღალვა.

სევრი. აი, ეს გახლავთ ჩემი სადარდებელი. და მე არ მესმის, რით ვიწვევ თურქეთის იზოლაციას ევროპისაგან, როცა ამას გამოვთქვამ. ეს მოთხოვნები, რასაც გვაყენებენ, დიდი არაფრით განსხვავდება სევრის ხელშეკრულების ტექსტისაგან, რომელიც ანაწილებდა პირველი მსოფლიო ომის დამლევს დამარცხებულ ოსმალურ იმპერიას. ასე რომ, ვერავინ მეტყვის,სევრი რამ მოგაგონათო.

სევრს თურქეთისაგან უნდოდა მდ. ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების წართმევა (უჩვენებს რუკაზე). „ერთი წლის შემდეგ პლებისციტი ჩაატარეთ და თუ ხალხმა ცალკე სახელმწიფო მოინდომა, მიეცითო“. აი, ეს უნდოდა სევრის ხელშეკრულებას. უკვე გითხარით,რომ მხოლოდ ორი სახელმწიფო იყო,რომელმაც ვერ შეძლო, რომ დაბადებულიყო ოსმალური იმპერიისაგან: ერთი იყო სომხური სახელმწიფო და მეორე ქურთული. სომხური სახელმწიფო წარმოიშვა წლების შემდეგ, მაგრამ ამაზე პასუხისმგებელნი ჩვენ არ ვართ. მაგრამ ისინი მაინც კარგად ვერ იქცევიან, ყოველ წელს გაჰყვირიან „გენოციდიო“ და ა.შ. უფრო მეტიც, მათ შექმნეს ტერორისტული ჯგუფი ASALA და მოგვიკლეს 35 უდანაშაულო დიპლომატი, მაგრამ სომხური საქმე სხვაა. მეორე დაუბადებელი სახელმწიფოა ქურთული სახელმწიფო. მაგრამ მისი რუკები მაინც დახატეს, ვინ დახატა? არსებითი ის კი არაა ვინ ქნა ეს — დასავლეთმა თუ აღმოსავლეთმა, მთავარია ის, რომ ვიღაცამ იგი დახატა. და ახლა განა ვალდებული არა ვარ ვუთხრა მათ „როგორ გგონიათ, რას შვრებით?“ რა თქმა უნდა, ვარ.

ვაწუხებ თურქეთს, ამას რომ ვამბობ? განა ჩემ მიერ დადებული ფიცი არ მავალებს ამის თქმას? თავი დავანე-

გაგრძელება მე-8 გვ.

ყურადღებით წაიკითხეთ!

მეშვიდე გვერდიდან

ბოთ პრეზიდენტის ფიცს. განა ეს ყველას ვალი არაა, ვინც ამ ქვეყნის პურს ჭამს, წყალს სვამს და ჰაერს სუნთქავს?

ასე რომ ყველას მოუწოდებ თავისი მოვალეობისაკენ. ეს ნიშნავს: იმის ნაცვლად,რომ ჩემ თავს ვკითხო „რატომ ამბობ ამას?“ ჯობს ვთქვა „იმ კაცს თავისი მიზანი აქვს. ვიყოთ ფრთხილად!“ ამით ღამის მოლანდებას როდი ვებრძვი. თუ თურქეთს ასეთი პრობლემა არ ჰქონდა და ასეთი ხიფათები არ ელოდა, რად მიმაღებინეს ფიცი, რომ დავიცვა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა და სამშობლოსა და ერის განუყოფელი ერთიანობა? და რატომ აღებინებთ პარლამენტის წევრებს ამავე ფიცს?

რაკი არსებობს ასეთი პოტენციური საფრთხე, სახელმწიფოს კონსტიტუციაში ჩაწერილია გარანტიები. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თურქეთის ყველა დიდი კრიზისის მიზეზი უფსკრულის პირთან მისვლაა. ამით იმის თქმა მინდა,რომ არ გაშინებთ. თუ არის რამდენიმე კაცი, ვინც თურქეთის დაშინებას არ ლამობს, ერთი მათგანი მე ვარ. მე მხოლოდ ჩემს გამოცდილებას გიზიარებთ როგორც თურქეთის პოლიტიკის მონაწილე 45 წლის მანძილზე. ვიმეორებ, თუ თურქეთი ვერ დაძლევს ამ კრიზისს კანონიერების ფარგლებში, მას დიდი სირთულეები შეხვდება. „მაშ თქვენ გადატრიალების აჩრდილს იწვევთ?“ — მეტყვიან. არა, მე აქ ვარ (პრეზიდენტის სასახლეში). აქ მჯდომი კაცი გადატრიალებას მოინდომებს?

მაგრამ ამ ქვეყნის მართვაში დიდ სირთულეებს წავაწყდებით. ნუ მკითხავთ, როგორს. პირველ ყოვლისა,თურქეთს მრავალი ლეგალური საშუალება მოეპოვება და შეიძლება მათი გამოყენება დაგვჭირდეს (როგორც ჩანს, მინიშნებაა სამხედრო მდგომარეობის შემოღებაზე).

თურქეთი-ევროპა. ერთიც დამრჩა სათქმელი. მინდა ვილაპარაკო თურქეთის მნიშვნელობაზე ევროპისთვის და პირუკუ.

დღეს ევროპა მხოლოდ გეოგრაფია როდია. რომც იყოს, თურქეთი მაინც მისი ნაწილი იქნებოდა. ევროპა, რომელიც მდ. ევროსზე თავდება, იგივე არაა,რაც ევროპა, რომელიც კავკასიონთან თავდება. ევროპისთვის უმჯობესია ევროპა, რომელიც კავკასიონთან მთავრდება, და თურქეთისთვისაც ჯობია, რომ თურქეთად იყოს ასეთ ევროპაში. მაგრამ გვახსოვდეს: თურქეთისთვის სკამის შენახვა ევროპის ერთა შორის ვერ იქნება შეზღუდული რაიმე პირობით. ეს იმას ნიშნავს,რომ თურქეთს უხდება ჭიდილი მრავალ გადაულახავ პრობლემასთან. ეს ჩვენმა ევროპელმა მეგობრებმაც უნდა იცოდნენ. ეს, უბრალოდ, შეუძლებელია რადგან ამ ქვეყნის ხალხს საღი აზრი განვითარებული აქვს. თავაზიანი და დამთმობნი ვართ, მაგრამ თუ ზღვარი გადაილახა, მკაცრნი ვართ.

მე არავის ვაშინებ, მხოლოდ ვამბობ: მოდით, შეეცადეთ, გაგვიგოთ და იმას ნუ მოითხოვთ ჩვენგან, რაც არ შეგვიძლია.

ადამიანის უფლებებისადმი დამოკიდებულების მხრივ თურქეთი არ ჰგავს ქვეყნებს, რომელნიც 6-7 ათწლეულის მანძილზე კომუნისტურმა მთავრობებმა მართეს.

ნუ გეპატარავებათ ჩემი ქვეყნის დემოკრატია. ჩემ. ქვეყანას იგი ფასად დაუჯდა. დღეს არჩეული პარლამენტი გვყავს. ბოლო არჩევნები ყველაზე სწორი იყო 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ. მომავალი არჩევნები შესაძლოა კიდევ უფრო პატიოსნური იყოს. მათ სახელმწიფოს ჩრდილი არ უნდა ფარავდეს.

მიჩვენეთ, რომ გესმით, რა ზარალი მიაყენა ჩემს პიროვნებას, სახელმწიფოს და დემოკრატიას საერთოდ ამ ბოლო წლების კრიზისმა! ამ სიძნელეებს ერთ ღამეში ვერ გადავლახავთ, მაგრამ ვცდილობთ კი. ეს წყლულები მხოლოდ ქაღალდზე როდია, ადამიანთა გონებაშიცაა!

თუ არა, მაშ რატომ ვიმეორებ დაბეჯითებით, რომ თურქეთი. შეძლებს თავის ამ ხუნდების დამსხვრევას ორიოდე არჩევნების შედეგად? ადვილი ხომ არ გგონიათ, ქვეყანაში ორჯერ გადააყენოთ კანონიერი ხელისუფლება და თქვენი თავი დააყენოთ მის მაგიერ, ხოლო შემდეგ აღადგინოთ კანონიერი ხელისუფლება ამავე მეთოდით? ეს ადვილი გასაგები საგნები როდია. დანგრეული ავტორიტეტის აღდგენა ადვილი როდია.

თურქეთის გარშემო რამოდენა ცეცხლია გახსნილი... სანამ შემოუტევდეთ,ერთი მიმოიხედეთ გარშემო! არის დედამიწის ამ ნაწილში სხვა ქვეყანა, რომელიც თურქეთზე უკეთ იცავდეს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას და საყოველთაო ფასეულობებს? თქვენ ვერ მეტყვით „კი ბატონო, მერე რაო?“ რადგან თურქეთის მდებარეობას მნიშვნელობა აქვს. დღეს უფრო, ვიდრე გუშინ— დემოკრატიზაციის კუთხით, გლობალიზაციის კუთხით, მშვიდობის კუთხით. ეს უნდა ესმოდეთ ჩვენს ევროპელ მეგობრებს. არ ესმით? ბევრს ესმის. მოდიან და მეუბნებიან. კარგად ესმით, რა ფასი აქვს თურქეთის აღგილმდებარეობას.

მოკლედ, თურქეთი მიისწრაფის პარტნიორობისკენ, თანამშრომლობისკენ, კოოპერაციისკენ დასავლეთთან.

შინაგანი რეფორმა. ისიც უნდა აღინიშოს, რომ თურქეთს დიდი მიღწევები აქვს მას შემდეგ,რაც 76 წლის წინათ გადაწყვიტა,რომ თანამედროვე ქვეყნად ქცეულიყო. დამისახელებთ სხვა ქვეყანას, 60—70 წლის მანძილზე რომ ექვსჯერ გაზრდილიყოს (მოსახლეობით, მთარგმნ. შენიშვნა) და მაინც ცხოვრებას იგივე დონე შეენარჩუნებინოს? ეს უაღრესად ძნელი რამ არის. შეხედეთ ბელგიის, ნიდერლანდის მოსახლეობას,თუნდ გერმანიისასაც კი. თურქეთი ამასთანავე დემოკრატიული სახელმწიფოა, ჰყავს თავისუფალი პარლამენტი, აქვს თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება.

მაგრამ თუ ამ თავისუფალ პარლამენტზე და ქვეყანას თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრებაზე ორიენტირებულმა კრიტიკამ გარკვეულ დოზას გადააჭარბა, მაშინ ვერ წავუვალთ უფრო დიდი სიძნელეების უფსკრულში გადაჩეხვას.

ჩვენმა ხალხმა უნდა დააფასოს თავისი სახელმწიფო, თავისი დემოკრატიული სისტემა,თავისი პარლამენტი.

ნურავის ნუ ეპატარავება ჩემი სიტყვები, რეფერენდუმზე რომ ვლაპარაკობ. ამით სურვილს გამოვთქვამ,რომ თურქეთს შეეძლოს თავისი ხალხის აზრის მოსმენა სადავო საკითხებზე. მე მინდა, თურქეთს შეეძლოს ხალხთან მისვლა და მისი მხარდაჭერის თხოვნა. ნორვეგიამ რეფერენდუმით გადაწყვიტა თავისი ევროპის კავშირთან შეერთების საკითხი. დანიამ ჯერ უარყო და მეორე რეფერენდუმი დასჭირდა, რომ მიერთებოდა მაასტრიხტის ხელშეკრულებას. მე ამას ვამბობ: მოდით,ცოტა მეტად მიუახლოვდით თურქ ხალხს,დაიჭირეთ ერის პულსი და იმოქმედეთ მისი ტენდენციების შესაბამისად.

მე მინდა, პრეზიდენტს ირჩევდეს ხალხი (და არა პარლამენტი).

მინდა, სახელმწიფო უკეთ ფუნქციონირებდეს,პრეზიდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შეეძლოს ახალი არჩევნების გამოცხადება (პარლამენტის დაშლით). მინდა რეფერენდუმთა ჩართვა ჩვენს კონსტიტუციურ სისტემასა და წეს-ჩვეულებაში, როგორც მოხერხებული მეთოდისა ხალხის მაჯისცემის გასასინჯად. მე მგონი, ეს ყოველივე წაადგება თურქეთის დემოკრატიას.

დასასრულ, მინდა ვთქვა: თურქეთს რომ პირობებს უყენებენ, ეს იმ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ევროპას თურქეთი არ უნდა.ეს შთაბეჭდილება მცდარია,ჩვენ ევროპისთვის არასასურველნი არა ვართ.

თუ საბაბს ეძებენ (თურქეთის გამოსარიცხად) თურქი ხალხის მუსლიმანობის გამო, ეს ეწინააღმდეგება ევროპის იდეას,ადამიანობის დღევანდელ გაგებას. თუ ამ პირობებს ხაზს უსვამენ გარკვეული მტრული დამოკიდებულებების გამო, გარკვეული ლობების გამო, ესეც შეცდომაა. ესეც არაფრის მიმცემია.

ამგვარად,მივდივართ საკითხამდე: .რატომ არ გინდათ თურქეთი? თურქეთი ტვირთად არ დაგაწვებათ.მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ ევროპამ თურქეთი 30-ე ადგილზე დააყენა წევრობის რიგში. იგი მალტაზეც კი უკან არის. ეს უსამართლობაა. ამას მეგობრებს გეუბნებით, თუ ხვალ აწყენინებთ თურქეთს, ეს ძნელი ამოსაშლელი იქნება ხალხის სულიდან. დღეს ERNK (ქურთისტანის ხალხის განთავისუფლების ფრონტი),რომელიც PKK (ქურთისტანის მუშათა პარტიის) პოლიტიკური ფრთაა, თავისუფლად და ლეგალურად მოქმედებს ევროპაში. მისი მხარდაჭერით ევროპელები ნებით თუ უნებლიეთ მხარს უჭერენ PKK-ს. განა ნიდერლანდის ნებართვა ქურთული პარლამენტისათვის არ არის უსამართლობა თურქეთის მიმართ? ეს არა მარტო უსამართლობაა თურქეთის მიმართ, არამედ დარღვევაცაა თვით ნიდერლანდის მიერ აღებულ ვალდებულებებისა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ნიდერლანდი თურქეთის მოკავშირეა ჩვენს ბრძოლაში (PKK-ს წინააღმდეგ). სხვა რის გაკეთება შეუძლია? ახლა ჩვენ იმის მოწმენი ვართ,რომ სეპარატისტთა ბანდას, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, ზურგს უკან პარლამენტი ჰყავს.რას ნიშნავს ამის მხარდაჭერა (ნიდერლანდის მიერ)?

თქვენ იცით, რომ ბრიტანეთმა ლიცენზია მისცა ქურთულ სატელევიზიო სადგურს და საფრანგეთმა მისცა არხებით. განა ვინშეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ამ გადაცემათა მმართველია PKK? ეს ყველაფერი დარღვევები გახლავთ იმ ვალდებულებებისა,რომელიც ევროპელმა ქვეყნებმა იკისრეს, როგორც ევროკავშირის, ნატოს და სხვა დემოკრატიული დაწესებულებების წევრებმა,რომ ხელი შეუწყონ ყველას, ვინც ტერორიზმის აღმავლობას ებრძვის, ეს ვალდებულებები არ გვეუბნება,ტერორისტები დავიცვათო. ჩვენ ევროპელ მეგობრებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ტერორიზმი შეიძლება მათაც შეეხოთ და მის დასაძლევად შეიძლება მათაც მოკავშირეთა ძებნა დასჭირდეთ.

შევაჯამებ:ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, თავი ბრალეულად ვაღიაროთ. ეს არც ხელსაყრელია ჩვენთვის. გვაქვს ნაკლოვანებები,მაგრამ რაც ტერორიზმს შეეხება, აქ თურქეთი სავსებით მართალია.ევროპული აღქმა, რომელიც ტერორიზმს და ქურთულ საკითხს ერთმანეთში ურევს, სხვას ვერაფერს მოიტანს, გარდა თურქეთის ჩიხში შეყვანისა. ევროპამ, ანუ დასავლეთის ქვეყნებმა, ისე არ უნდა ქნან, რომ ჯერ განაცხადონ, თურქეთს მხარს ვუჭერთ ტერორიზმთან ბრძოლაში, შემდეგ ეს თემა გააქარწყლონ ქურთების საკითხზე მორგებით.

გეკითხებით, თურქეთმა ოკუპაცია გაუკეთა საკუთარი ტერიტორიის ნაწილს? იყო რაღაც სახელმწიფო და თურქეთმა მიითვისა იმ სახელმწიფოს უფლებები, ხელყო მისი ტერიტორია? არა! ათასი წელია ეს მიწა ამ სახელმწიფოს ეკუთვნის, ვის ეკუთვნის ეს ქვეყანა? ჩვენ ყველას, ყველანი დასავლელ-აღმოსავლელნი, ჩვენი ალავიტებითა და სუნიტებითურთ, ამ სახელმწიფოს ათასი წელია ვფლობთ.

ტერმინი „უნიტარული სახელმწიფო“ აქედან მოდის. ვინ მოიგებს ამ ერთობლივი ფლობის დარღვევით, როცა ამ სახელმწიფოს ადამიანები ყველანი თანასწორნი არიან, რათა ზოგი მათგანი უმცირესობა აღმოჩნდეს და მეორე კლასის მოქალაქეთა სტატუსი მიიღოს? ასე რომ მოქალაქეთა დანარჩენი ნაწილი მეორე კლასში აღმოჩნდება! როგორ გინდათ მაშინ ქვეყანა მართოთ?

შევაჯამებ, მე მომხრე ვარ რბილი ურთიერთობისა თურქეთსა და დასავლეთს შორის, თურქეთის თანამშრომლობას მასთან და უნივერსალური ღირებულებების გაზიარებისა ორივეს მიერ, თურქეთის დემოკრატიის ხარვეზთა დაძლევისა. მაგრამ წინაღმდეგი ვარ ზეწოლისა, რომელიც გამოიწვევს ჩვენს დაშლას,დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით.

თუ დემოკრატიას — სრულსა და მოწიფულს — შეუძლია თურქეთი დაყოფამდე მიიყვანოს, მაშინ იგი არ ყოფილა სრული და მოწიფული დემოკრატია. ეს მხოლოდ მიზეზად მოდებაა, რატომ არ უნდა მოვინდომო მე ჩემი ხალხისთვის ცხოვრების უკეთესი პირობების მოძებნა? მე მინდა ვხედავდეთ უფრო კეთილდღიან, უფრო უხიფათო, უფრო სუფთა თურქეთს გაზრდილი სუვერენობით, მაგრამ ამ მიზნისკენ მიმავალი ბილიკი არ უნდა გადაეჯვარედინოს ხალხში სიძულვილის გაღვივებას.

კროსვორდი



თარაზულად: 2. მსუბუქი სამგზავრო საზიდრების საერთო სახელწოდება. 4. კვების ძირითადი პროდუქტი. 5. ბაბუა. 7. კედელზე დამაგრებული სანათური. 8. ორნამენტშემოვლებული კედლის ან ჭერის ნაწილი, სადაც ნახატია მოთავსებული. 9. ნახშირბადის ალოტროპიული სახე. 10. ატმოსფერული მოვლენა. 14. „ბარონ მიუნჰაუზენის“ ამბების ავტორი. 15. წიგნის ან მეცნიერული ნაშრომის მოკლე შინაარსის გადმოცემა. 21. გერმანულ მითოლოგიაში კეთილი სული. 22. მე-19 ს. დიდი გერმანელი კომპოზიტორი. 23. სითხის დიდი მოცულობის სათავსი. 24. ფუტკრის სადგომი. 25. ესკიმოსების საცხოვრებელი. 26. ჭადრაკის ფიგურა. 27. მონადირის ჩანთა.

ᲖᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. თხზულების ან ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა. 2. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი. 3. დიდი კოლონიალური სახელმწიფო. 4.მუსიკალური ტერმინი — ხმადაბლა. 6. ბიბლიური პერსონაჟი. 8. ტიტანი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც ცეცხლი მოსტაცა ზევსს. 11. მსახიობი. 12. ჰაერის ტალღების რხევა, რომელსაც ადამიანის ყური აღიქვამს. 13. პატარა ტოტი. 16. ალიაქოთი, აურზაური, ჩხუბი. 17. კრების მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად. 18. მოკლე სასაცილო მოთხრობა. 19. ადამიანი, რომელმაც პირველად გაკაფა გზა მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ სხვა. 20. ბოძი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1500 რუბლი, შ. კ. კუპონებში.

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99
93-18-41